

ერჩევნები და დემოკრატია

საარჩევნო ჟურნალი N 8



2022



უ ს კ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
საარჩევნო ადმინისტრაცია

უმაღლესი საარჩევნო კომისია (უსკო) არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისგან. უსკო უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას, აკონტროლებს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და მის ერთგვაროვან გამოყენებას.

წინამდებარე ჟურნალი, უმაღლესი საარჩევნო კომისიის ინიციატივით, 2020-2021 წლებში ევროპის საბჭოს პროექტთან – „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში“ – თანამშრომლობით გამოიცემოდა. 2022 წლიდან ჟურნალ „არჩევნები და დემოკრატია“ უსკო დამოუკიდებლად გამოსცემს.

ჟურნალში ავტორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხის მიმართ არ გამოხატავს უსკოს პოზიციას.

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე

პარმენ ჯალაღონია

სარედაქციო საბჭოს წევრები

მაკა ლომაძე
რუსუდან ანანიშვილი
ლალი ლაშხი
გიგა ფარტენაძე

ტექსტის რედაქტორი

თამარ გაბელაია



დემოკრატია ბერძნული სიტყვაა და ხალხის მმართველობას ნიშნავს (ბერძნ. *δημος* - ხალხი; *κρατος* - კანონი, ძალა). დემოკრატიული წყობის პირობებში ხალხი თავის ძალაუფლებას, პირდაპირი ან არაპირდაპირი წარმომადგენლობის გზით, პერიოდული არჩევნების მეშვეობით ახორციელებს.

საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა. სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით (საქართველოს კონსტიტუცია, მე-3 მუხლი).

მოქალაქის უფლება, აირჩიოს ხელისუფლება, ანუ თავისი წარმომადგენლების მეშვეობით განახორციელოს ძალაუფლება, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს მიეკუთვნება.

ყველა ქვეყანა თავისი კანონმდებლობით ატარებს არჩევნებს, თუმცა არსებობს საერთაშორისო სტანდარტები - პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ არჩევნების სანდოობასა და დემოკრატიულობას. ეს პრინციპები სათავეს იღებს საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური უფლებებიდან, რაც გულისხმობს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას პერიოდულ არჩევნებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

„ხელისუფლების საფუძველი ხალხის ნება უნდა იყოს. ეს ნება უნდა გამოვლინდეს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში, რომელიც უნდა გაიმართოს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ან ხმის მიცემისათვის უფლების უზრუნველყოფი სხვა წესით“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წელი).

ზეალ ზეალიშვილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი

თქვენი ნებართვით, პატივცემულო მკითხველო, მინდა გავამახვილო ყურადღება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებაზე, რომელთაც დღემდე წარმატებით ახორციელებს უმაღლესი საარჩევნო კომისია, რაც მის საქმიანობას უფრო ეფექტურსა და მოქნილს ხდის.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია არის პირველი დონის საარჩევნო ადმინისტრაციები, ამიტომ უფრო ენერგიული ნაბიჯები იდგმება ურთიერთგამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი საარჩევნო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების კუთხით.

უსკოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საარჩევნო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმირება. უსკო ყოველთვის გამოთქვამს მზაობას, არასამთავრობო სექტორის მზაობის შემთხვევაში, მომზადდეს ერთობლივი პროექტები საარჩევნო თემატიკის სხვადასხვა მიმართულებაზე. უსკოსთვის ყოველთვის პრიორიტეტულია მომავალი თაობა, ამიტომ აქტიურად ვაგრძელებთ ისეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას, რომელიც გათვლილია საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასელებისთვის, ასევე, სტუდენტი ახალგაზრდობისთვის. ეს პროექტი ეხმარება ახალგაზრდებს, ცნება „ამომრჩეველი“-ს უფრო კარგად გააზრებაში, ასევე, მათი წილი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გააზრებასა და გათავისებაში, საარჩევნო და ხმის მიცემის პროცედურებში სიახლეების გაცნობაში.

მუნიციპალურ ორგანოთა 2021 წლის არჩევნებზე, კრწანისის საარჩევნო ოლქში, ელექტრონული ხმის მიცემის პროგრამამ და, ასევე, საკრებულოს 2022 წლის 2 აპრილის ბათუმის შუალედურ არჩევნებზე ამომრჩეველთა ვერიფიკაციამ და ელექტრონული წესით ხმის მიცემის პროცედურამ ნათლად დაგვანახა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა, გადასვლა ახალ სისტემაზე, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს კენჭისყრისა და ხმის მიცემის პროცედურებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსიდან გამომდინარე, უსკოს გვეძლევა საშუალება, მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა დავამყაროთ ევროპისა და, არამხოლოდ, სხვა მსგავსი სტატუსის მქონე საარჩევნო ადმინისტრაციებთან, რაც საშუალებას მოგვცემს, ურთიერთგამოცდილების გაზიარების მეშვეობით, ბევრი სიახლე დავნერგოთ უსკოს საქმიანობაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უსკოს ხელმძღვანელობისა და ინსტიტუციური განვითარების განყოფილების დიდი ძალისხმევით მჭიდრო კომუნიკაცია მყარდება ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა მათთან ერთად განხორციელდეს რაც შეიძლება მეტი საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული ერთობლივი პროექტი.

მოხარული ვართ, რომ უსკო აგრძელებს მრავალმხრივ თანამშრომლობას ევროპის საბჭოსთან, რაც ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საარჩევნო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

ელექტრონული არჩევნები და მისი სახეობები



თანამედროვე სამყაროში ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში მუდმივად ხდება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება. ამ მხრივ არც არჩევნები გამონაკლისი. არჩევნების მართვისა და ადმინისტრირების სფეროში სულ უფრო ხშირად გვხვდება თანამედროვე ტექნოლოგიები. ტექნოლოგიების დანერგვა, როგორც წესი, მიზნად ისახავს არჩევნების ადმინისტრირების პროცესის გამარტივებას და მართვის ეფექტიანობის ამაღლებას, ასევე არჩევნების შედეგებისა და, ზოგადად, საარჩევნო პროცესისადმი ნდობის განმტკიცებას.

ელექტრონული არჩევნები

ტერმინი *ელექტრონული არჩევნები* / *ელექტრონული ხმის მიცემა* (e-Voting) საზოგადოებაში ხშირად არასწორად არის აღქმული. კერძოდ, საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ელექტრონული არჩევნები მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით ხმის მიცემას გულისხმობს. სინამდვილეში კი ელექტრონული არჩევნები საკმაოდ ფართო ტერმინია და გულისხმობს არჩევნების პროცესში ამომრჩეველთა რეგისტრაციის, იდენტიფიკაციის, ხმის მიცემის, ხმების დათვლის, შეჯამების, შედეგების გადაცემისა და გამოქვეყნების პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას.

რაც შეეხება ინტერნეტის გამოყენებით ხმის მიცემას, იგი აღინიშნება ტერმინით – ინტერნეტით ხმის მიცემა (i-Voting) და გულისხმობს ამომრჩევლის მიერ ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით დისტანციურად ხმის მიცემას, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად. შესაბამისად, ინტერნეტით ხმის მიცემა, სხვა ელექტრონული ტექნოლოგიების მსგავსად, არის ელექტრონული არჩევნების ერთ-ერთი კომპონენტი.

როგორც აღვნიშნეთ, ელექტრონული არჩევნები გულისხმობს არჩევნების პროცესში

ირაკლი სორბულაძე

კარგი მმართველობის ინსტიტუტის
აღმასრულებელი დირექტორი
საქართველოში,
ელექტრონული არჩევნების საპილოტე
პროექტების ხელმძღვანელი

ამომრჩეველთა რეგისტრაციის, იდენტიფიკაციის, ხმის მიცემის, ხმების დათვლის, შეჯამების, შედეგების გადაცემისა და გამოქვეყნების პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას.

ამასთან, ელექტრონული არჩევნების ესა თუ ის მოდელი თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ტიპის საარჩევნო სისტემაში. თუმცა კონკრეტული საარჩევნო ტექნოლოგიის შერჩევა, როგორც წესი, საარჩევნო სისტემის, კულტურისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით ხდება.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

თანამედროვე ეპოქაში, ფაქტობრივად, წარმოდგენილია ამომრჩეველთა რეგისტრაცია და მის საფუძველზე ამომრჩეველთა სიის შედგენა ელექტრონული ტექნოლოგიების გარეშე. თუმცა ამომრჩეველთა სიის შედგენის პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების ფორმა და ინტენსივობა დამოკიდებულია საარჩევნო პროცესში საჭირო ინფორმაციაზე. რაც უფრო კომპლექსურია საარჩევნო სია, მით უფრო ტექნოლოგიურია ამომრჩეველთა რეგისტრაცია და, შესაბამისად, საარჩევნო სიის შედგენაც. თუ საარჩევნო სია მოიცავს ამომრჩევლის მხოლოდ სახელს, გვარს, პირად ნომერს, მისამართს და სხვა ტექსტურ ინფორმაციას, ცხადია, ასეთი მონაცემების შესაგროვებლად და დასამუშავებლად საკმარისია ბაზისური კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ამომრჩეველთა სია დამატებით ასევე შეიცავს თითოეული ამომრჩევლის სხვადასხვა სახის ბიომეტრიულ ინფორმაციასაც.

საარჩევნო პროცესში, ძირითადად, გამოიყენება ადამიანის სახის, თვალის ფერადი გარსისა და თითის ანაბეჭდის ბიომეტრიული პარამეტრები. ამომრჩეველთა ისეთი სიის შედგენა, რომელიც შეიცავს რომელიმე ზემოაღნიშნულ ბიომეტრიულ ინფორმაციას, საჭიროებს სპეციალურ ტექნოლოგიებს. ამომრჩეველთა რეგისტრაციის დროს გამოიყენება შესაბამისი ოპტიკური ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობით ხდება ამომრჩევლის სახის, თვალის ფერადი გარსისა და თითის ანაბეჭდის ბიომეტრიული სკანირება და ინფორმაციის ციფრულ ფორმატში შენახვა შემდგომი დამუშავების მიზნით. საარჩევნო მიზნებით

ბიომეტრიული მონაცემების შეგროვება და გამოყენება, ძირითადად, გავრცელებულია ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც, როგორც წესი, მოქალაქეთა აღრიცხვა არ არის მოწესრიგებული და საარჩევნო პროცესისადმი ნდობა ძალიან დაბალია.

ამომრჩევლთა ელექტრონული ვერიფიკაცია

ამომრჩეველთა ვერიფიკაცია ნიშნავს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის ძებნას და მონაცემთა ურთიერთშედარების საფუძველზე ამომრჩევლის იდენტიფიკაციის დადგენას. საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის ვერიფიკაციის დროს შესაძლოა გამოყენებულ იქნეს: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ამომრჩევლის შესახებ არსებული ტექსტური ინფორმაცია, ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ამომრჩევლის ბიომეტრიული ინფორმაცია. ტექსტური ინფორმაციის ძებნა და გადამოწმება შედარებით მარტივი პროცედურაა და შეგვიძლია, მას ვუწოდოთ მარტივი ელექტრონული ვერიფიკაცია, მაშინ, როდესაც ბიომეტრიული ინფორმაციის გადამოწმება შედარებით რთული პროცესია და საჭიროებს ამომრჩევლის ბიომეტრიული მონაცემების შედარებას. საარჩევნო უბანზე ბიომეტრიული ინფორმაციის საფუძველზე იდენტიფიკაციას ბიომეტრიული ვერიფიკაცია ეწოდება. ელექტრონული ვერიფიკაცია შესაძლოა იყოს არაბიომეტრიული, მაშინ, როდესაც ბიომეტრიული ვერიფიკაცია ყველა შემთხვევაში ელექტრონულია. შესაბამისად, ელექტრონული ვერიფიკაცია მოიცავს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ამომრჩეველთა როგორც ბიომეტრიულ, ასევე არაბიომეტრიულ ვერიფიკაციას.

არაბიომეტრიული ვერიფიკაცია -



როდესაც ამომრჩეველთა ვერიფიკაცია ხორციელდება ამომრჩევლის სახელის, გვარის, პირადი ნომრის, მისამართის და სხვა ტექსტური ინფორმაციის საფუძველზე. ამ

შემთხვევაში გამოიყენება მარტივი (არაბიომეტრიული) ელექტრონული იდენტიფიკაციის მოწყობილობა. მარტივ ელექტრონული ვერიფიკაციის ფორმას, როგორც წესი, იყენებენ არჩევნების ადმინისტრირებისა და მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. ელექტრონული ვერიფიკაციის დროს საარჩევნო უბანში საჭირო აღარ არის ანბანურად დაყოფილი ე.წ. სამაგიდო სია, სადაც რეგისტრატორი ხელით ეძებს ამომრჩეველს და იდენტიფიცირების შემდეგ ხელს აწერიან სიაში. ამის ნაცვლად, ამომრჩეველთა სიის ელექტრონული ვერსია ჩატვირთულია ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის მოწყობილობაში,

რომლის მეშვეობითაც ხდება ამომრჩევლის ვერიფიკაცია. ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის მოწყობილობაში ამომრჩევლის ძებნა შესაძლებელია ორი მეთოდით: ელექტრონულად და მექანიკურად. ელექტრონული ძებნა შესაძლებელია, თუ ამომრჩეველს აქვს ციფრული ინფორმაციის მატარებელი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მოთავსებულია მესხიერების ბარათი (ჩიპი), QR კოდი, შტრიხკოდი, MRZ კოდი და სხვ. ასეთი დოკუმენტის გატარების შემთხვევაში ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის მოწყობილობა ავტომატურად ეძებს ამომრჩეველს და ეკრანზე გამოაქვს მისი მონაცემები. თუ ამომრჩეველს არ აქვს ციფრული ინფორმაციის მატარებელი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ., აქვს საქართველოში გავრცელებული ლამინირებული პირადობის მოწმობა), ამომრჩევლის ძებნა შესაძლებელია მექანიკურად, მისი პირადი ნომრის ხელით შეყვანით.

პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტსა და საარჩევნო სიაში ამომრჩევლის მონაცემთა დამთხვევის შემთხვევაში ამომრჩეველი ითვლება იდენტიფიცირებულად. ვერიფიკაციის პროცესი, როგორც წესი, სრულდება ამომრჩევლის ხელმოწერით, რომლითაც ამომრჩეველი ადასტურებს არჩევნებში მონაწილეობას და მას გადაეცემა საარჩევნო ბიულეტენი. ხელმოწერა შეიძლება შესრულდეს იდენტიფიკაციის მოწყობილობის ეკრანზე სპეციალური კალმით ან მოწყობილობიდან ამობეჭდილ სარეგისტრაციო ქვითარზე. ელექტრონული ვერიფიკაციის დროს ამომრჩეველს შესაძლებლობა აქვს, მივიდეს ნებისმიერ თავისუფალ რეგისტრატორთან და არ ელოდოს საკუთარი გვარისთვის განსაზღვრულ რეგისტრატორს, რადგან საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა სია ერთიანია და იდენტიფიკაციის აპარატები სინქრონულად მუშაობენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის შუალედურ არჩევნებზე, ჯერ ბათუმში და შემდეგ სენაკში, საპილოტე პროექტის ფარგლებში, სწორედ ამომრჩეველთა ელექტრონული ვერიფიკაციის მარტივი ფორმა იქნა გამოყენებული. ამომრჩეველთა ელექტრონული ვერიფიკაციის მარტივი ფორმა გამოიყენება ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში.

ბიომეტრიული ვერიფიკაცია -

როდესაც ამომრჩევლის ვერიფიკაცია ხორციელდება რომელიმე ტიპის ბიომეტრიული ინფორმაციის საფუძველზე, აუცილებლად გამოიყენება სპეციალური ელექტრონული მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ადამიანის ბიომეტრიული მონაცემების სკანირება და დამუშავება.



საარჩევნო პროცესში, ძირითადად, გამოიყენება სამი ტიპის ბიომეტრია: სახის ბიომეტრია, თვალის ფერადი გარსის ბიომეტრია და თითის ანაბეჭდი. განსაკუთრებით ზუსტი და უნიკალური იდენტიფიკაციის საშუალებაა თვალის ფერადი გარსის ბიომეტრიული მონაცემების შედარება, თუმცა, საერთო ჯამში, ბიომეტრიული ინფორმაცია, როგორც წესი, უნიკალურია და შეუძლებელია, ის განმეორდეს სხვა ადამიანის პერსონალურ მონაცემებში. ამ ფაქტორის გამო ადამიანთა იდენტიფიკაციის ყველაზე უტყუარი მეთოდი სწორედ ბიომეტრიაა. ბიომეტრიული ვერიფიკაციის დროს შეუძლებელია ერთმა და იმავე ადამიანმა განმეორებით გაიაროს ვერიფიკაცია და რამდენჯერმე მისცეს ხმა, ან სხვის ნაცვლად მისცეს ხმა.

არჩევნებში ბიომეტრიული ვერიფიკაციის გამოყენებისას, პირველ რიგში, განისაზღვრება, თუ რომელი ბიომეტრიული ინფორმაციის საფუძველზე მოხდება ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია. ამის შემდეგ ხდება შერჩეული ბიომეტრიული ინფორმაციის (მაგ., თითის ანაბეჭდი) შეგროვება და მისი ასახვა ამომრჩეველთა სიაში. ბოლო ეტაპი არის ვერიფიკაცია, როდესაც საარჩევნო უბანზე სპეციალური ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით ხდება ამომრჩეველის შესაბამისი ბიომეტრიული მონაცემის (მაგ., თითის ანაბეჭდი) სკანირება და მისი შედარება ამომრჩეველთა სიაში არსებულ ბიომეტრიულ მონაცემებთან (მაგ., თითის ანაბეჭდების ბაზა). თუ საარჩევნო უბანში აღებული ბიომეტრიული მონაცემი და ამომრჩეველთა სიაში არსებული ბიომეტრიული მონაცემი ერთმანეთს შეესაბამება, ამომრჩეველის ვერიფიკაცია წარმატებულია და იგი მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში. იმ შემთხვევაში, თუ ეს მონაცემები ერთმანეთთან შეუსაბამო აღმოჩნდება, ამომრჩეველის ვერიფიკაცია ვერ განხორციელდება და იგი ვერ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში.

ბიომეტრიული მონაცემების შეგროვება და დამუშავება საზოგადოების მხრიდან აღიქმება ადამიანის პირად სივრცეში სახელმწიფოს გადაჭარბებულ ჩარევად, შესაბამისად, ამ საკითხისადმი საზოგადოებას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს. ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანის პირადი სივრცე შესაძლოა, შეიზღუდოს საერთო საზოგადოებრივი სიკეთის მისაღწევად, ანუ არჩევნებში განმეორებით ან სხვის მაგივრად ხმის მიცემის აღსაკვეთად; თუმცა, საზოგადოების მეორე ნაწილის აზრით, სახელმწიფოს ასეთი ჩარევა ადამიანის პირად სივრცეში არაპროპორციულია იმ საზოგადოებრივი სიკეთის მისაღწევად, რომელიც ბიომეტრიული მონაცემების გამოყენებას მოჰყვება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საარჩევნო პროცესში ბიომეტრიული მონაცემების გამოყენება, ძირითადად, გავრცელებულია ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც საარჩევნო პროცესისადმი ნდობა ძალიან დაბალია და ადამიანის პირადი სივრცე ნაკლებად დაცულია. იმის გათვალისწინებით, რომ განვითარებული ქვეყნების

უმრავლესობა კონსოლიდირებული დემოკრატიებია, სადაც საარჩევნო პროცესი მეტ-ნაკლებად მაღალი ნდობით სარგებლობს და ადამიანის პირადი სივრცეც განსაკუთრებულად არის დაცული, ამ ქვეყნებში ამომრჩეველთა ბიომეტრიული ვერიფიკაცია, ფაქტობრივად, არსად გვხვდება.

ხმის მიცემა და ხმის დათვლა

საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის ნაწილში ელექტრონული ტექნოლოგიები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამომრჩეველის ხმის პირდაპირ ელექტრონულ დამახსოვრებას და ტექნოლოგიები, რომლებიც კითხულობენ და იმახსოვრებენ ამომრჩეველის მიერ ქალაქის ბიულეტენზე გაკეთებულ არჩევანს. საერთაშორისო ლიტერატურაში მოწყობილობას, რომელიც პირდაპირ იმახსოვრებს ამომრჩეველის ხმას, ეწოდება DRE – Direct-Recording Electronic Voting Machine, ხოლო მოწყობილობას, რომელიც ქალაქის ბიულეტენის სკანირების საშუალებით ახდენს ხმის დათვლას, ეწოდება OMR – Optical Mark Recognition.

ელექტრონული ხმის მიცემა

ელექტრონული ხმის მიცემა გულისხმობს პროცესს, როდესაც ამომრჩეველი ხმას აძლევს უშუალოდ ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებით, ქალაქის ბიულეტენის გარეშე. ელექტრონული მოწყობილობა უზრუნველყოფს ხმების ელექტრონულ ჩანერას, დათვლას და შეჯამებას. ეროვნულ დონეზე მასშტაბურად ელექტრონული ხმის მიცემა პირველად 1996 წელს იქნა გამოყენებული ბრაზილიაში. შემდეგ იგი ფართოდ გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში.



ელექტრონული ხმის მიცემის აპარატები იყოფა ორ ნაწილად: აპარატები, რომლებიც ხმის მიცემის დროს, ელექტრონული ხმის დამახსოვრების პარალელურად, ასევე უზრუნველყოფენ ამომრჩეველის მიერ გაკეთებული არჩევანის ქალაქებზე გადატანას და აპარატები, რომლებიც ამომრჩეველის ხმას ქალაქებზე არ აფიქსირებენ.

ელექტრონულად ხმის მიცემის აპარატების გამოყენების პირველ ეტაპზე, 2000-იან წლებში, როგორც წესი, აპარატები პირდაპირ იმახსოვრებდნენ ამომრჩეველის ხმას და არ ქმნიდნენ ხმის ქალაქის მეშვეობით გადამონმების შესაძლებლობას. ამ აპარატების გამოყენებით ჩატარებულ არჩევნებზე არჩევნების შედეგების გადამონმება შესაძლებელია მხოლოდ ციფრულ ფორმატში. შედეგების ციფრული გადამონმება კი ადამიანისთვის საკმაოდ რთულად აღსაქმელი

პროცესია, ვინაიდან არ გვაქვს მატერიალური მტკიცებულება (მაგალითად, ქაღალდის ბიულეტენი) და მისი ნამდვილობის დადასტურება მოითხოვს სპეციალურ ცოდნას.

ვინაიდან არჩევნები ძალიან მგრძნობიარე და მნიშვნელოვანი საკითხია, გამოიკვეთა, რომ ელექტრონული ხმის მიცემის დროს უნდა შექმნილიყო რაიმე მატერიალური მტკიცებულება, მაგალითად, ქაღალდის მონიშნული ბიულეტენი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა თითოეული ხმის გადამოწმება, ყოველგვარი სპეციალური ცოდნის მქონე ადამიანების გარეშე. ამ ფაქტორის გათვალისწინებით შეიქმნა თანამედროვე ელექტრონული ხმის მიცემის აპარატები, ხმის ქაღალდით გადამოწმებადი მექანიზმით, ეგრეთ წოდებული VVPAT – Voter verifiable paper audit trail. დღეისათვის უკვე ძალიან იშვიათად გვხვდება ელექტრონული ხმის მიცემის აპარატების გამოყენება VVPAT-ის გარეშე.

ელექტრონული ხმის მიცემის აპარატი, ტექნიკური თვალსაზრისით, შეიძლება დავყოთ კიდევ ორ ძირითად ჯგუფად: ლილაკიან აპარატებად და სენსორული ეკრანის მქონე აპარატებად.

ლილაკიანი აპარატების შემთხვევაში, როგორც წესი, ელექტრონული ბიულეტენის გამოსახულება არ გამოდის ეკრანზე. იმისთვის, რომ ამომრჩეველმა შეძლოს სასურველი კანდიდატისთვის ხმის მიცემა, კანდიდატთა რიგითი ნომრები ნაბეჭდი სახით განთავსებულია კენჭისყრის კაბინაში, ანდა კანდიდატთა სახელები მითითებულია ლილაკებზე.

შეცდომის გამოსარიცხავად ლილაკიანი აპარატების მეშვეობით ხმის მიცემის პროცესი ორსაფეხურიანია: პირველ ეტაპზე ამომრჩეველი სასურველი კანდიდატის გასწვრივ არსებულ ლილაკზე თითის დაჭერით შეარჩევს კანდიდატს, რომლის შემდეგაც ხმის მიცემის ლილაკზე თითის დაჭერით იგი უკვე ადასტურებს მის მიერ შერჩეული კანდიდატისთვის ხმის მიცემას.

სენსორული ეკრანის მქონე აპარატებით ხმის მიცემის დროს საარჩევნო ბიულეტენი ელექტრონული ფორმით გამოდის აპარატის მონიტორზე. ამ შემთხვევაში ამომრჩეველს შესაძლებლობა აქვს, ვიზუალურად აღიქვას საარჩევნო ბიულეტენები და მოძებნოს სასურველი კანდიდატი. საარჩევნო ბიულეტენში შესაბამის კანდიდატზე თითის შეხებით ამომრჩეველი ირჩევს სასურველ კანდიდატს და შემდეგ ხმის მიცემის ვირტუალურ ლილაკზე შეხებით ადასტურებს მის მიერ შერჩეული კანდიდატისთვის ხმის მიცემას.

იმისათვის, რომ ამომრჩეველმა შეძლოს ელექტრონულად ხმის მიცემა, აპარატი (როგორც ლილაკიანი, ასევე სენსორული ეკრანის მქონე აპარატი) უნდა გააქტიურდეს. აპარატის გააქტიურება ხდება რეგისტრატორის მიერ დისტანციურად ლილაკზე თითის დაჭერით, ან ამომრჩეველის ელექტრონული ბარათის მეშვეობით, რომელიც

ამომრჩეველს დროებით გადაეცემა რეგისტრაციის შემდეგ.



1990–2010 წლებში გავრცელებული იყო აპარატები, რომლებზეც ხმის მიცემა შესაძლებელი იყო ლილაკზე თითის დაჭერით. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, დაიხვეწა ასევე ელექტრონული ხმის მიცემის ტექნოლოგიებიც და 2010 წლის შემდეგ, ძირითადად, გვხვდება სენსორული ეკრანის მქონე აპარატები, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ბრაზილიასა და ინდოეთში, ლილაკიანი აპარატები კვლავ ფართოდ არის გავრცელებული.

ხმის ელექტრონული დათვლა

საარჩევნო უბანზე ხმის ელექტრონული დათვლა გულისხმობს პროცესს, როდესაც ამომრჩეველი საკუთარ არჩევანს აკეთებს ქაღალდის ბიულეტენზე, ხოლო ელექტრონული მოწყობილობა ბიულეტენის სკანირების შედეგად უზრუნველყოფს ხმის დათვლას, ანუ, თუ ელექტრონული ხმის მიცემის შემთხვევაში აპარატი პირდაპირ იმახსოვრებს ამომრჩეველის მიერ მიცემულ ხმას და მტკიცებულების სახით ბეჭდავს მონიშნულ ბიულეტენს, ელექტრონული დათვლის შემთხვევაში პროცესი პირიქით არის – ამომრჩეველი ჯერ ბიულეტენს მონიშნავს და შემდეგ აპარატი მონიშნული ბიულეტენიდან ითვლის ხმებს.

ელექტრონული ხმის დათვლის ტექნოლოგიაშიც გვხვდება რამდენიმე განსხვავებული მოდელი: ხმის მთვლელი აპარატები, რომლებიც გამოიყენებიან უშუალოდ კენჭისყრის მიმდინარეობისას; აპარატები, რომლებიც გამოიყენებიან კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო უბანზე ხმების დასათვლელად; ასევე აპარატები, რომლებიც კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო ბიულეტენების დათვლას უზრუნველყოფენ ცენტრალიზებულად ხმის დათვლის ცენტრებში.

დღეისათვის საარჩევნო უბანზე ხმების დასათვლელად, ძირითადად, გამოიყენება საარჩევნო უბნის ოპტიკური სკანერი – PCOS (Precinct count optical scanner). ეს მოწყობილობა კენჭისყრის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს ბიულეტენის მიღებას, წაკითხვას, ხმების დათვლას და ბიულეტენების შენახვას. როგორც წესი, ოპტიკური სკანერი მოთავსებულია ბიულეტენების შესანახ კონტეინერებზე – საარჩევნო ყუთზე.

საარჩევნო უბნის ოპტიკური სკანერის გამოყენებით კენჭისყრის პროცესი ნათლად რომ აღვწეროთ, შეგვიძლია, მარტივი ქრონოლოგია განვიხილოთ:

1. რეგისტრაციის შემდეგ ამომრჩეველს გადაეცემა ქაღალდის სპეციალური ბიულეტენი;
2. საარჩევნო ბიულეტენის მიღების შემდეგ ამომრჩეველი შედის კენჭისყრის კაბინაში,

სადაც საარჩევნო ბიულეტენში სპეციალური მარკერით მონიშნავს მისთვის სასურველ კანდიდატს;

3. ბიულეტენის მონიშვნის შემდეგ ამომრჩეველი მიდის ხმის დამთვლელ აპარატთან და მის მიერ შევსებულ ბიულეტენს ათავსებს აპარატში;
4. აპარატი ახდენს ბიულეტენის სკანირებას, ამოწმებს ბიულეტენის ნამდვილობას, იმახსოვრებს ამომრჩეველის მიერ გაკეთებულ არჩევანს და ბიულეტენს ათავსებს კონტეინერში. საარჩევნო ბიულეტენების სურათებს და ხმის დათვლის შედეგებს აპარატი ციფრულ ფორმატში იმახსოვრებს დაშიფრულ მეხსიერების ბარათზე;
5. კენჭისყრის ბოლოს, მას შემდეგ, რაც საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი მოხელე ხმის მთვლელ აპარატზე დახურავს კენჭისყრის პროცესს, აპარატი ბეჭდავს კენჭისყრის შედეგებს, რომლის ნამდვილობასაც ხელმოწერით ადასტურებენ შესაბამისი უბნის კომისიის წევრები. როგორც წესი, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს კენჭისყრის შედეგების შემოწმებელ ოქმს.

ოპტიკური სკანერის გამოყენებით ხმის დასათვლელად გამოიყენება სპეციალური ბიულეტენი. იმისთვის, რათა აპარატმა ზუსტად აღიქვას ამომრჩეველის მიერ გაკეთებული არჩევანი, ბიულეტენის ფორმა სტანდარტიზებულია და მის გარშემო, კიდეებზე, დატანილია საორიენტაციო შტრიხები. ყველა კანდიდატის გასწვრივ გამოსახულია მონიშვნის წრე, რომლის გაფერადებაც ნიშნავს შესაბამისი კანდიდატისთვის ხმის მიცემას. მონიშვნა, როგორც წესი, კეთდება სპეციალური შავი მარკერით, რათა აპარატმა დროულად და ზუსტად აღიქვას ამომრჩეველის მიერ გაკეთებული არჩევანი. უნდა აღინიშნოს, რომ აპარატი არ კითხულობს და არ იმახსოვრებს საარჩევნო ბიულეტენში მონიშვნის წრის გარეთ გაკეთებულ არცერთ აღნიშვნას ან ჩანაწერს. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საარჩევნო ბიულეტენზე შეიძლება დამატებით დატანილი იყოს ე.წ. QR კოდი ან შტრიხ-კოდი და ულტრაიისფერი მარკირება. აღსანიშნავია, რომ ოპტიკური სკანერის ერთი ბიულეტენით შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე კენჭისყრის ორგანიზება, რადგანაც ბიულეტენის საორიენტაციო შტრიხების გამოყენებით აპარატის პროგრამა უზრუნველყოფს სხვადასხვა კენჭისყრის დიფერენცირებას და ხმების ზუსტ დათვლას. საქართველოს მაგალითი რომ განვიხილოთ, აღნიშნულ ბიულეტენზე შესაძლებელია ერთდროულად ავსახოთ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარული კენჭისყრა (არჩევნები), პროპორციული კენჭისყრა, აჭარის არ-ის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარული კენჭისყრა და პროპორციული კენჭისყრა, რაც ამომრჩეველს მნიშვნელოვნად უმარტივებს ხმის მიცემის პროცესს.

საპილოტე რეჟიმში 2018–2022 წლებში საქართველოში სწორედ საარჩევნო უბნის ოპტიკური სკანერები იქნა გამოყენებული. 2022 წლის 2 აპრილს

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებზე ბათუმელმა ამომრჩეველებმა უშუალოდ გამოსცადეს როგორც ამომრჩეველთა ელექტრონული ვერიფიკაციის, ასევე ხმის დათვლის ელექტრონული აპარატები. საარჩევნო უბნის ოპტიკური სკანერები განსაკუთრებული ნდობითა და პოპულარობით სარგებლობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც არჩევნების ავტომატიზაცია 1950-იანი წლებიდან იღებს სათავეს, სწორედ საარჩევნო უბნის ოპტიკური სკანერები – PCOS არის ელექტრონული არჩევნების ხერხემალი.

რაც შეეხება ბიულეტენების დათვლას ხმის დათვლის ცენტრებში, აქ ბიულეტენების ელექტრონული დათვლა ხორციელდება ცენტრალური დათვლის ოპტიკური სკანერით – CCOS (Central count optical scan). ცენტრალური დათვლის შემთხვევაში, საარჩევნო უბანზე საჭირო არ არის მაღალტექნოლოგიური საშუალებები. ამომრჩეველი საკუთარ არჩევანს აკეთებს ქაღალდის ბიულეტენზე და მას ჩვეულებრივად ათავსებს ტრადიციულ საარჩევნო ყუთში. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო ყუთი ილუქება და ხელუხლებელი ბიულეტენები დასათვლელად გადაეცემა ხმის დათვლის ცენტრს. ხმის დათვლის ცენტრში საარჩევნო უბნიდან მიღებული ბიულეტენები თავსდება ცენტრალურ სკანერში, რომელიც ახდენს ბიულეტენების სკანირებას, ამოწმებს მათ ნამდვილობას და ითვლის ხმებს. ბიულეტენების სკანირების დასრულებისთანავე აპარატიდან იბეჭდება შესაბამისი უბნის კენჭისყრის შედეგები. ხმის დათვლის ცენტრებში ეს პროცესი იქამდე გრძელდება, ვიდრე ყველა საარჩევნო უბნის ბიულეტენებს არ დაითვლიან.

ხმის დათვლის ცენტრებში ბიულეტენების დათვლა შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული, ვინაიდან იგი მოითხოვს მთლიანი საარჩევნო პროცესის მიმართ საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის განსაკუთრებულ ნდობას. თუ საარჩევნო პროცესს მთლიანობაში ნდობა არ აქვს, ბიულეტენების ცენტრში გადაადგილებამ და კენჭისყრის შედეგების შედარებით დაგვიანებულმა გამოცხადებამ შესაძლოა, მნიშვნელოვანი დაძაბულობა და დაპირისპირება გამოიწვიოს. ხმის დათვლის ცენტრებში ბიულეტენების დათვლის ყველაზე უფრო გამორჩეული მაგალითია დიდი ბრიტანეთი, სადაც, მაგალითად, ექვს მილიონ ამომრჩეველიან ლონდონში მხოლოდ სამი ხმის დათვლის ცენტრია მოწყობილი.

ინტერნეტით ხმის მიცემა

ინტერნეტით ხმის მიცემა, ანუ I-Voting, არის ელექტრონული არჩევნების ფორმა, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ ინტერნეტთან დაკავშირებული ნებისმიერი კომპიუტერიდან. ინტერნეტით ხმის მიცემა არ მოითხოვს არჩევნებისთვის განკუთვნილ რაიმე სპეციალურ ელექტრომონოპოლიზაციას. ინტერნეტკენჭისყრა იმართება ჩვეულებრივი საოფისე კომპიუტერისა და ხმის

მიცემის სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

ხმის მისაცემად ამომრჩეველმა საკუთარ კომპიუტერულ მოწყობილობაში უნდა ჩაწეროს ელექტრონული კენჭისყრის სპეციალური პროგრამა და ამავე პროგრამაში ID ბარათის ან ციფრული პირადობის მოწმობის გამოყენებით გაიაროს ელექტრონული რეგისტრაცია. რეგისტრაციის შემდეგ კომპიუტერის ეკრანზე გამოჩნდება ციფრული საარჩევნო ბიულეტენი, სადაც ამომრჩეველი ირჩევს მისთვის სასურველ კანდიდატს და PIN კოდის შეყვანით ადასტურებს ხმის მიცემას. ხმის მიცემისთანავე პროგრამა აგენერირებს QR კოდს, რომლის მეშვეობითაც ამომრჩეველს შესაძლებლობა ეძლევა, გადაამოწმოს საკუთარი ელექტრონული ხმა.

ელექტრონული ხმის გადასამოწმებლად ამომრჩეველმა საკუთარ სმარტფონში უნდა ჩაწეროს სპეციალური აპლიკაცია, რომლის მეშვეობითაც შეძლებს ხმის მიცემისას გენერირებული QR კოდის სკანირებას და საკუთარი ელექტრონული ხმის ვიზუალიზაციას.

ინტერნეტით ხმის მიცემა არ არის არჩევნებში მონაწილეობის ერთადერთი უალტერნატივო საშუალება. ამომრჩეველს შესაძლებლობა აქვს, ინტერნეტით ხმის მიცემის ნაცვლად ფიზიკურად გამოცხადდეს საარჩევნო უბანზე და ტრადიციული ფორმით მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

ინტერნეტით ხმის მიცემა, როგორც წესი, რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდება და იხურება არჩევნების წინა დღეს. ინტერნეტკენჭისყრის დასრულებამდე ამომრჩეველს შეუძლია, რამდენჯერმე შეცვალოს თავისი ელექტრონული ხმა. ამომრჩეველს ასევე შეუძლია, ელექტრონულად მიცემული ხმა შეცვალოს საარჩევნო უბანში პირადად ხმის მიცემის საშუალებით. საარჩევნო უბანზე ხმის მიცემა გადაფარავს ელექტრონულ ხმას და სისტემა ავტომატურად წაშლის ამომრჩეველის ელექტრონულ ხმას ციფრული საარჩევნო ყუთიდან. ელექტრონული ხმის რამდენჯერმე შეცვლის შესაძლებლობის მექანიზმი გამოიყენება ამომრჩეველის ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან დისტანციურად ხმის მიცემის დროს არსებობს რისკი, რომ კონკრეტულ მომენტში ამომრჩეველი მესამე პირის ზეგავლენით მოქმედებდეს.

ელექტრონული ხმის დამუშავებისა და დათვლის პროცესი რამდენიმე საფეხურისგან შედგება:

1. ხმის მიცემის შემდეგ ელექტრონული ხმა ამომრჩეველის პირადი მონაცემებისგან განცალკევდება და ანონიმური ფორმით იშიფრება;
2. ანონიმური ფორმით დაშიფრული ელექტრონული ხმა, თავის მხრივ, თავსდება ამომრჩეველის პირადი მონაცემების შემცველ ფაილში და კიდევ ერთხელ იშიფრება;
3. კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ სპეციალური ელექტრონული გასაღების გამოყენებით ხდება ანონიმური ხმებისა

და ამომრჩეველის პირადი მონაცემების განცალკევება;


4. იმისთვის, რათა ქრონოლოგიურად შეუძლებელი იყოს ელექტრონული ხმების კონკრეტულ ამომრჩეველთან დაკავშირება, სპეციალური პროგრამის გამოყენებით ხდება ანონიმური ხმების ერთმანეთში შერევა;
5. ბოლო ეტაპზე ხდება ანონიმური ელექტრონული ხმების დათვლა და შედეგების გენერირება.

ელექტრონული ხმის მიცემის კონცეფცია ორმაგი კონვერტის მეთოდის მსგავსია, რომელიც გამოიყენება ფოსტის მეშვეობით ხმის მიცემის დროს. მეტი თვალსაჩინოებისთვის ორმაგი კონვერტის ვიზუალური გამოსახულება მოცემულია ფოტოსურათზე.

ესტონეთი არის პირველი ქვეყანა, რომელმაც არჩევნებზე ინტერნეტით ხმის მიცემა დაწერა ეროვნული მასშტაბით. ესტონეთის მოქალაქეებს 2005 წლიდან შესაძლებლობა აქვთ, საარჩევნო უბანში მიუსვლელად, დისტანციურად მისცენ ხმა კომპიუტერის გამოყენებით. არაეროვნულ დონეზე ინტერნეტით ხმის მიცემის სხვა გავრცელებული შემთხვევები გვხვდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში.

შედეგების გადაცემა

ელექტრონული არჩევნების ერთ-ერთი კომპონენტია საარჩევნო უბნიდან კენჭისყრის შედეგების გადაცემა და მათი გამოქვეყნება. შედეგების გადაცემისას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და შტატში წარმატებით გამოიყენება რამდენიმე ტექნოლოგიური მოდელი. ნაწილი ერთ ტექნოლოგიას ანიჭებს უპირატესობას, ნაწილი - მეორეს, ზოგიერთი ქვეყანა კი შედეგების გადაცემის ყველა მეთოდს იყენებს.



შედეგების გადაცემის ერთი მოდელი გულისხმობს კენჭისყრის პროცესის დახურვის შემდეგ ელექტრონული ხმის მიცემის ან ხმის დათვლის აპარატის ქსელთან მიერთებას და შედეგების გადაცემას უშუალოდ აპარატიდან. ამ მოდელში, კენჭისყრის პროცესის დახურვისა და შესაბამისი შედეგების ამობეჭდვის შემდეგ, აპარატს უერთდება სპეციალური მოდემი, რომელიც VPN-ით უკავშირდება ცენტრალურ სერვერს და კენჭისყრის შედეგების დაშიფრულ ფაილს გადასცემს სერვერს.

შედეგების გადაცემის მეორე მოდელში, კენჭისყრის პროცესის დახურვისა და შესაბამისი შედეგების ამობეჭდვის შემდეგ, ელექტრონული ხმის მიცემის ან ხმის დათვლის აპარატიდან უნდა ამოვიღოთ მეხსიერების ბარათი, რომელსაც მივაერთებთ ცალკე მდგომარეობაში კომპიუტერს და მისი მეშვეობით გადავცემთ კენჭისყრის შედეგებს ცენტრალურ სერვერს. ამ შემთხვევაში

გადამცემ მოწყობილობად შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს როგორც ჩვეულებრივი საოფისე კომპიუტერი, ასევე ამომრჩეველთა ვერიფიკაციის მოწყობილობაც.

კიდევ ერთი მოდელი, რომლითაც საარჩევნო უბნიდან დაუყოვნებლივ არის შედეგების გადაცემა შესაძლებელი, გულისხმობს აპარატიდან ამობეჭდილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმზე QR კოდის დატანას და მისი მეშვეობით ციფრული ინფორმაციის გადაცემას. ოქმზე დატანილი QR კოდი შეიცავს კენჭისყრის შედეგების შესახებ ციფრულ ინფორმაციას, რომლის წაკითხვა და ცენტრალურ სერვერზე გადაცემა შესაძლებელია სპეციალური აპლიკაციის საშუალებით. ამ მოდელის გამოყენება არ საჭიროებს სპეციალურ ტექნიკას და მოწყობილობებს. ინფორმაციის გადასაცემად საკმარისია შედეგების გადაცემის აპლიკაციის ინსტალაცია პასუხისმგებელი პირის სმარტფონში, რომელიც ავტორიზაციის შემდეგ სწრაფად და უსაფრთხოდ შეძლებს კენჭისყრის შედეგების გადაცემას ცენტრალურ სერვერზე.

შედეგების გადაცემის კიდევ ერთი მოდელი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება, გულისხმობს ელექტრონული აპარატებიდან მეხსიერების ბარათების ამოღებას და მათ ფიზიკურ მიწოდებას საარჩევნო ოლქში. საარჩევნო ოლქში შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი მეხსიერების ბარათს აერთებს დაცულ ქსელში ჩართულ კომპიუტერში და ციფრულ ინფორმაციას გადასცემს ცენტრალურ სერვერს. ამ შემთხვევაში კენჭისყრის შედეგების გადაცემა და არჩევნების შედეგების შეჯამება-გამოქვეყნება შედარებით შენელებულია იმის გამო, რომ მეხსიერების ბარათები ფიზიკურად უნდა იქნეს მიტანილი

საარჩევნო ოლქში.

მოკლე რეზიუმე

ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიები არჩევნების ადმინისტრირების პროცესის გამარტივებისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების საუკეთესო შესაძლებლობაა, რაც დადებითად აისახება საზოგადოების ყველა ჯგუფზე. მაგალითად, თანამედროვე ტექნოლოგიები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებსა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევს, სხვისი დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად მისცენ ხმა სასურველ კანდიდატს. ტექნოლოგიების გამოყენებით საზოგადოებას შესაძლებლობა ეძლევა, მარტივად მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და შემდეგ, კენჭისყრის დასრულებიდან ძალიან მალევე, მიიღოს არჩევნების ზუსტი და უტყუარი შედეგები. არჩევნების ზუსტი და უტყუარი შედეგების სწრაფად გამოქვეყნება ხელს უწყობს საარჩევნო პროცესისადმი ნდობის ამაღლებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს პოლიტიკურ დაძაბულობას და დაპირისპირებას.

იმისთვის, რომ ტექნოლოგიების გამოყენებით მაქსიმალურად მივაღწიოთ საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებას, კონკრეტული საარჩევნო ტექნოლოგია ყურადღებით უნდა იქნეს შერჩეული შესაბამისი ქვეყნის საარჩევნო სისტემის, კულტურისა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ასევე აუცილებელია, რომ ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესი იყოს გამჭვირვალე და საზოგადოებაში მაღალი ნდობით სარგებლობდეს.

მადეირის ავტონომიური რეგიონის სტატუსი

(ზოგადი მიმოხილვა)



ლაშით გახილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმადლესი საბჭოს თავმჯდომარე

თანამედროვე მსოფლიოსთვის ავტონომიური მმართველობა სიახლე არ არის, თუმცა არც კარგად შესწავლილი საკითხია. უფრო მეტიც, მისი ერთმნიშვნელოვანი განმარტებაც კი არ არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტონომიური მმართველობის შინაარსობრივი გაგებისთვის, ასევე მისი ზოგადი თუ კონკრეტული დახასიათებისთვის, მნიშვნელოვანია ცალკეული ავტონომიების როგორც სტატუსების, ასევე მათი ინსტიტუტების განხილვა. აღნიშნული განსაკუთრებით საინტერესოა იმის ფონზე, რომ საქართველოს აქვს ავტონომიური მმართველობის საკუთარი გამოცდილება. ამასთან, ეს საკითხი კიდევ უფრო საინტერესო ჩანს საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის გათვალისწინებით, რომელიც ასევე შეეხო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის განმსაზღვრელ კონსტიტუციურ კანონსაც.¹ ზოგადად, ეს საკითხები დიდ ინტერესს იწვევს შედარებით საკონსტიტუციო სამართალში, სადაც განიხილება ისეთი ცნებები, როგორებიცაა: სუბსაკონსტიტუციო სამართალი, სუბნაციონალური ავტონომია, სუბნაციონალური საკონსტიტუციო სივრცე. მსოფლიოს ბევრ ქვეყანას აქვს ორმაგი, სახელმწიფოსა და მისი შემადგენელი ტერიტორიული ერთეულების, საკონსტიტუციო სტრუქტურა, რასაც ზოგჯერ „სუბკონსტიტუციონალიზმს“ უწოდებენ. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მსგავსი საკონსტიტუციო სტრუქტურა აქვს საქართველოს, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც სახელმწიფოს კონსტიტუციას, ისე სუბნაციონალურ, ავტონომიურ

კონსტიტუციებს.² ამდენად, აღნიშნული მიზნებისთვის, ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს საზღვარგარეთის გამოცდილების გაცნობა და ცალკეული ავტონომიების დახასიათება. შესაბამისად, წინამდებარე სტატიაში მოცემულია ავტონომიებთან დაკავშირებით პორტუგალიის გამოცდილების განხილვა მადეირის ავტონომიური რეგიონის მაგალითზე. შესაბამისად, სტატიაში დავახასიათებთ მადეირის ავტონომიური რეგიონის სტატუსს, მის ორგანოებს, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა მადეირის ავტონომიურ რეგიონში პირდაპირი წესით არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს – საკანონმდებლო ასამბლეას.

1. ზოგადი მონაცემები პორტუგალიის ავტონომიური რეგიონების შესახებ

პორტუგალია უნიტარული სახელმწიფოა. ამასთან, კონსტიტუციაში ხაზგასმულია, რომ იგი პატივს სცემს კუნძულთა ავტონომიურ რეჟიმსა და სუბსიდიარობის პრინციპებს, ადგილობრივი ორგანოების ავტონომიურობასა და სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიულ დეცენტრალიზაციას.³

პორტუგალიის ტერიტორიული მოწყობა წარმოდგენილია 8 ადმინისტრაციული და ორი ავტონომიური რეგიონის სახით. პორტუგალიის ავტონომიური რეგიონებია მადეირა და აზორის კუნძულები. მათი განსაკუთრებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეჟიმი ეფუძნება გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და სოციალურ მახასიათებლებს და კუნძულების მოსახლეობის ისტორიულ მისწრაფებას ავტონომიისკენ. ნება და ნდობა – ეს ორი ასპექტი ხაზგასმულია პორტუგალიის კონსტიტუციით, როდესაც იგი აფუძნებს აზორისა და მადეირის ავტონომიას კუნძულოვანი მოსახლეობის „ისტორიულ მისწრაფებებზე“.⁴ პორტუგალიის ავტონომიებში, რეგიონულ იდენტობასთან ერთად, ძლიერადაა გამოხატული ეროვნული იდენტობაც. აზორელთა და მადეირელთა ნება, იყვნენ ავტონომიური, ეფუძნება მათ ნებას, იყვნენ პორტუგალიელები.⁵

1 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კანონით ახლებურად განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსი, ამასთან, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ [კონსტიტუციური კანონი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/document/view/3811829?publication=0> უკანასკნელად გადამოწმდა: 22.10.2022 წელს].

2 მ. ნაკაშიძე, სუბ-ნაციონალური კონსტიტუცია და საკონსტიტუციო ცვლილებები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საიუბილეო კრებული „ავთანდილ დემეტრაშვილი 80“, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბ., 2021, 410-459.

3 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი V, კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსათვის“, გამომც. „თბილისელები“, თბ., 2007, 614.

4 Finaud M., Models of Territorial Tutonomy: convergences and differences., International Academic Conference., Dakhla, Morocco. 2-3 July 2018., 29.

5 ibid.

პორტუგალიის რესპუბლიკის ავტონომიურ რეგიონებს პორტუგალიის კონსტიტუციის ცალკე, მე-7 თავი ეთმობა, რომელიც განსაზღვრავს ავტონომიების პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რეჟიმს, სტატუსს, ავტონომიური რეგიონების უფლებამოსილებებს, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა და რეგიონთა თანამშრომლობას, ავტონომიური რეგიონების თვითმმართველობის ორგანოებს და ავტონომიებთან დაკავშირებულ სხვა ძირითად საკითხებს.

პორტუგალიის კონსტიტუციის 226-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ავტონომიური რეგიონების სტატუტების პროექტებსა და კანონპროექტებს, რომლებიც ეხება ავტონომიური რეგიონების საკანონმდებლო ასამბლეის წევრთა არჩევას, შეიმუშავებენ რეგიონული საკანონმდებლო ასამბლეები, რომლებიც განსახილველად და დასამტკიცებლად ეგზავნება რესპუბლიკის კრებას“. თუ რესპუბლიკის კრება უარყოფს პროექტს ან შეიტანს მასში ცვლილებებს, პროექტი შეფასებისა და დასკვნისათვის გადაეცემა შესაბამის რეგიონულ საკანონმდებლო ასამბლეას. დასკვნის მომზადების შემდეგ რესპუბლიკის კრება განაგრძობს მსჯელობას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

2. ზოგადი ცნობები მადეირის ავტონომიური რეგიონის შესახებ

მადეირა მდებარეობს ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში. იგი, როგორც აღინიშნა, პორტუგალიის ავტონომიური რეგიონია და, ძირითადად, მოიცავს კუნძულ მადეირას, პორტუ სანტუსს, დეზერტასს, სელვაგენს⁶ და სხვა კუნძულებს. მადეირის ავტონომიური რეგიონი ასევე მოიცავს მიმდებარე ტერიტორიულ წყლებს და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. მადეირა 1418-1420 წლების შუალედში აღმოაჩინეს პორტუგალიელმა მეზღვაურებმა. მოგვიანებით ბრიტანეთის იმპერიამ განახორციელა ამ კუნძულების ოკუპირება. ნაპოლეონის ომების პერიოდში, 1814 წელს, ეს ტერიტორია პორტუგალიას დაუბრუნდა.

პორტუგალიაში სხვადასხვა დროს მოქმედმა განსხვავებულმა რეჟიმმა გავლენა მოახდინა აზორსა და მადეირის ადმინისტრირების მოდელზე. დღესდღეობით ეს ორი რეგიონი დიდწილად ავტონომიურია, თუმცა იმავს თქმა არ შეიძლებოდა პორტუგალიის დემოკრატიულ გარდაქმნამდე. 1974

წლის რევოლუციამ⁷ შეცვალა ქვეყნის პოლიტიკური და ადმინისტრაციული მდგომარეობა. 1976 წელს მიღებულ იქნა პორტუგალიის ახალი კონსტიტუცია, რომლის საფუძველზეც ოლიგეირა სალაზარის ავტორიტარული რეჟიმი შეიცვალა დემოკრატიული მთავრობით. კონსტიტუციის საფუძველზე მადეირა იქცა ავტონომიურ ოლქად პორტუგალიის შემადგენლობაში. დღეის მდგომარეობით, მადეირის ავტონომიური რეგიონის სტატუტის თანახმად, მადეირის არქიპელაგი არის პორტუგალიის რესპუბლიკის ავტონომიური რეგიონი, რომელიც აღჭურვილია პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსით და თვითმმართველი ორგანოებით.⁸ მადეირის ავტონომიური რეგიონი სარგებლობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით.⁹ მას აქვს საკუთარი დროშა, გერბი და ჰიმნი, რომელთაც ამტკიცებს რეგიონალური საკანონმდებლო ასამბლეა.

მადეირის სტატუტის თანახმად, სახელმწიფო პატივს სცემს მადეირის ავტონომიური რეგიონის ორგანიზაციასა და ფუნქციონირებას, ავტონომიურ რეჟიმს და რეგიონულ იდენტობას, როგორც მისი განსხვავებულობის გამოხატულებას. თავის მხრივ, სტატუტის მე-5 მუხლში ხაზგასმულია, რომ მადეირის ავტონომიური რეგიონის პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ფინანსური, ეკონომიკური და ფისკალური ავტონომია არ მოქმედებს სახელმწიფოს სუვერენიტეტის მთლიანობაზე და ხორციელდება კონსტიტუციისა და მადეირის ავტონომიური რეგიონის სტატუტის ფარგლებში. მადეირის ავტონომიური რეგიონის ავტონომიური რეჟიმი ეფუძნება მის გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მახასიათებლებს და მისი ხალხის ისტორიულ ავტონომიურ მისწრაფებებს. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, რეგიონული საკანონმდებლო ასამბლეისა და რეგიონული მთავრობის სახით, რეგიონს აქვს საკუთარი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც ეფუძნებიან მოქალაქეების დემოკრატიულად გამოხატულ ნებას და მონაწილეობენ ეროვნული პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაში. მადეირას არ გააჩნია საკუთარი სასამართლო სისტემა, თუმცა, სტატუტის თანახმად, ეროვნული სასამართლო ორგანიზაცია ითვალისწინებს და ადაპტირებულია რეგიონის სპეციფიკურ საჭიროებებზე. მადეირას, როგორც ავტონომიურ რეგიონს, ჰყავს 6 წევრი ეროვნულ პარლამენტში და 2 წევრი ევროპარლამენტში. მისი, როგორც ავტონომიური რეგიონის, მონაწილეობა ევროკავშირის სტრუქტურებში ხაზს უსვამს, ერთი მხრივ, მის მონაწილეობას ევროინტეგრაციაში, ხოლო, მეორე მხრივ, მის ავტონომიურობას.

6 დასახელებულ კუნძულთა ნაწილი, თავის მხრივ, პატარა არქიპელაგებია, რომლებიც შედგებიან კუნძულთა ერთობლიობისაგან (ავტორის შენიშვნა).

7 ე.წ. „მიხაკების რევოლუცია“ – 1974 წლის 25 აპრილის უსისხლო სამხედრო გადატრიალება პორტუგალიაში, რომელიც განახორციელა იატაკქვეშა სამხედრო ორგანიზაცია „კაპიტნების მოძრაობამ“. მოძრაობა მოსახლეობას მოუწოდებდა ფაშისტური დიქტატურის დამხობისა და სამხედრო გარდამავალი მთავრობის ჩამოყალიბებისაკენ.

8 მადეირის ავტონომიური რეგიონის სტატუსი, 1-ლი მუხლი. ხელმისაწვდომია მისამართზე: https://www.cne.pt/sites/default/files/dl/legis_eparam_2012.pdf, [უკანასკნელად გადამოწმდა: 22.10.2022 წ.].

9 იქვე, მე-2 მუხლი.

3. მადეირის ავტონომიური რეგიონის უფლებამოსილებები

მადეირის ავტონომიური რეგიონი პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, ფინანსურ, ეკონომიკურ და ფისკალურ ავტონომიას ახორციელებს პორტუგალიის კონსტიტუციისა და რეგიონის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული წესდების (სტატუტის) ფარგლებში. პორტუგალიის კონსტიტუცია თავის 227-ე მუხლში გვაცხადებს ავტონომიური რეგიონების უფლებამოსილებათა ჩამონათვალს და განსაზღვრავს, რომ ავტონომიურ რეგიონებს, როგორც ტერიტორიულ-იურიდიულ პირებს, მიენიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუტით განსაზღვრული ისეთი უფლებამოსილებები, როგორებიცაა, მაგალითად:

- ა) რესპუბლიკის საერთო კანონებით გათვალისწინებული, ძირითადი პრინციპების დაცვით, საკანონმდებლო ფუნქციის განხორციელება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომწვეულია რეგიონის განსაკუთრებული ინტერესით და არ შედის სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ კომპეტენციასში;
- ბ) რესპუბლიკის კრების მიერ მიენიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მიეკუთვნება აღნიშნული კრების ნაწილობრივ საკანონმდებლო კომპეტენციას, გარდა პორტუგალიის კონსტიტუციის 165-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით, „დ“ ქვეპუნქტის პირველი პუნქტით, „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებით, „ნ“ ქვეპუნქტის მე-2 პუნქტით და „პ“, „ჟ“, „რ“, „ტ“, „უ“, „ქ“, „ყ“ და „ც“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხებისა;¹⁰
- გ) სტატუტის მიღებასთან დაკავშირებით ინიციატივის განხორციელება;
- დ) რესპუბლიკის კრებაში საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელება, შესაბამისად, რესპუბლიკის კრებაში საკანონმდებლო წინადადებებისა და შესწორებების შეტანის მეშვეობით;
- ე) საკუთარი აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება;
- ვ) საკუთარი ქონების მართვა და განკარგვა, გარიგებათა დადება;
- ზ) კანონის შესაბამისად, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება საგადასახადო სფეროში, რესპუბლიკის კრების მიერ მიღებული ჩარჩო კანონის შესაბამისად

ეროვნული ფისკალური სისტემის რეგიონულ სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოყვანა;

- თ) სტატუტისა და ავტონომიური რეგიონის ფინანსების შესახებ კანონის შესაბამისად რეგიონში აკრეფილი და შემოღებული გადასახადებისაგან მიღებული შემოსავლების, ასევე ეფექტური ეროვნული სოლიდარობის უზრუნველყოფი პრინციპის საფუძველზე სახელმწიფო საგადასახადო ხელშეკრულებათა ნაწილის და სხვა შემოსავლის განკარგვა, რომლებიც მათ ეკუთვნის და რომლებითაც იფარება მათი ხარჯები;
- ი) კანონის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შექმნა და გაუქმება, ასევე შესაბამისი ტერიტორიის შეცვლა;
- კ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიმართ საზედამხებველო უფლებამოსილების განხორციელება;
- ლ) დასახლებული პუნქტის კატეგორიის დაბამდე ან ქალაქამდე ამაღლება;
- მ) ზედამხებველობის განხორციელება იმ სასახურებზე, საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და სახელმწიფო და ნაციონალიზებულ საწარმოებზე, რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებულად ან ძირითადად ვრცელდება რეგიონის ტერიტორიაზე, ასევე სხვა შემთხვევებში, როდესაც ეს განპირობებულია რეგიონის ინტერესებით;
- ნ) რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის, ბიუჯეტისა და ანგარიშის მიღება და ეროვნული გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა;
- ო) საზოგადოებრივი რეგულირების კუთხით გასაკიცხი ქმედებების განსაზღვრა და შესაბამისი სანქციების დადგენა ისე, რომ არ შეილახოს კონსტიტუციის 165-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დებულება;¹¹
- პ) ფისკალური, ფულადი, ფინანსური და სავალუტო პოლიტიკის განსაზღვრასა და წარმართვაში მონაწილეობა;
- ჟ) ტერიტორიული წყლების, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობის მიღება;
- რ) იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობა, რომლებიც მათ უშუალოდ შეეხება, ისევე როგორც აღნიშნულიდან გამომდინარე სარგებლის მიღება;
- ს) თანამშრომლობა საზღვარგარეთის რეგიონულ დაწესებულებებთან და იმ ორგანიზაციებში მონაწილეობა, რომელთა საქმიანობაც

10 ეს საკითხებია: ხალხის სტატუსი და უფლებამოსიანობა, უფლებები, თავისუფლებები და გარანტიები, დანაშაულების, სასჯელების, აღკვეთის ღონისძიებებისა და საზოგადოებისათვის საშიში ქმედებების ხარისხის განსაზღვრა. აგრეთვე, სისხლის სამართლის პროცესი, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთო საფუძვლები, გადასახადების შემოღება, საგადასახადო სისტემა და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ გადასახადებისა და სხვა მოსაკრებლების რეჟიმების განსაზღვრა, სასამართლოებისა და პროკურატურის ორგანიზაცია და შესაბამისი მოსამართლეების, ასევე დავების მომწესრიგებელი არასასამართლო დაწესებულებების სტატუსი და ა.შ.

11 დისკრინინური გადაცდომის, ასევე საზოგადოებრივად დასჯადი ქმედებების დასჯის საერთო რეჟიმის და შესაბამისი პროცესის განსაზღვრის კომპეტენცია არის რესპუბლიკის კრების განსაკუთრებული საკანონმდებლო კომპეტენცია, თუ იგი თავის უფლებამოსილებას არ გადასცემს მთავრობას.

მიმართულია რეგიონთაშორისი დიალოგისა და თანამშრომლობისაკენ, საგარეო პოლიტიკის საკითხებში კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისად;

- ტ) საკუთარი ინიციატივით ან სახელმწიფო ორგანოთა რჩევით აზრის გამოთქმა სახელმწიფო ორგანოების გამგებლობაში მყოფ მათთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე, მათი განსაკუთრებული ინტერესის მქონე პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება პორტუგალიის სახელმწიფოს პოზიციის განსაზღვრას ევროკავშირის მშენებლობის პროცესში;
- უ) ევროკავშირის მშენებლობის პროცესში მთავრობის შუამავლობით შესაბამის რეგიონალურ დაწესებულებებსა და დელეგაციებში მონაწილეობა, რომლებიც ჩართულნი არიან ევროკავშირის ფარგლებში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, თავისი წარმომადგენლების მეშვეობით; აგრეთვე ევროკავშირის კანონმდებლობისა და სხვა სამართლებრივი აქტების პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 112-ე მუხლის შესაბამისად გადმოტანა;¹²

ავტონომიური რეგიონისათვის განსაზღვრული უფლებამოსილებების გარდა, მადეირა, როგორც ავტონომიური რეგიონი, შეიძლება ახორციელებდეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მისთვის გადაცემულ უფლებამოსილებებსაც. კერძოდ, პორტუგალიის კონსტიტუციის 227-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, უფლებამოსილებათა გადაცემის შესახებ საკანონმდებლო წინადადებებს უნდა ახლდეს რეგიონის საკანონმდებლო დეკრეტის პროექტი იმ ურთიერთობების შესახებ, რომლებიც მათ უნდა მოაწესრიგონ. კონსტიტუცია ადგენს, რომ საკანონმდებლო უფლებამოსილების გადაცემის შესახებ კანონი უნდა განსაზღვრავდეს ობიექტს, მიზანს, მოცულობას და უფლებამოსილების გადაცემის ხანგრძლივობას, ამასთან, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს. გადაცემული საკანონმდებლო უფლებამოსილება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთზე მეტჯერ, რაც ხელს არ უშლის მათ ეტაპობრივ გამოყენებას. გადაცემული უფლებამოსილება წყდება რესპუბლიკის კრების ან მადეირის საკანონმდებლო ასამბლეის უფლებამოსილების გასვლისა და დათხოვნის შემთხვევებში.

4. საკანონმდებლო ასამბლეა და მისი არჩევის წესი და უფლებამოსილება

მადეირას, როგორც ავტონომიურ რეგიონს, აქვს საკუთარი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები. მადეირის საკანონმდებლო ორგანოა 47 წევრისაგან შემდგარი მადეირის საკანონმდებლო ასამბლეა, რომელიც ახორციელებს

საკანონმდებლო ხელისუფლებას და კონტროლს უწევს მადეირის რეგიონის მთავრობის საქმიანობას. საკანონმდებლო ასამბლეის არჩევის წესი განისაზღვრება სტატუტით, რომელსაც შემუშავებს საკანონმდებლო ასამბლეა და დასამტკიცებლად ეგზავნება რესპუბლიკის კრებას. თუ რესპუბლიკის კრება უარყოფს პროექტს ან მასში შეიტანს ცვლილებებს, პროექტი შეფასებისა და დასკვნისათვის გადაეცემა მადეირის საკანონმდებლო ასამბლეას. დასკვნის მომზადების შემდეგ რესპუბლიკის კრება გააგრძელებს მსჯელობას და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

მადეირის საკანონმდებლო ასამბლეა აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის შესაბამისად, 4 წლის ვადით. საკანონმდებლო ასამბლეის არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლება აქვთ მოქალაქეებს 18 წლის ზემოთ ასაკიდან. პორტუგალიელები, რომლებიც, იმავდროულად, ითვლებიან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებად, არ კარგავენ ამ მიზეზით აქტიურ საარჩევნო უფლებას. მადეირის ავტონომიური რეგიონის საკანონმდებლო ასამბლეის ამომრჩევლები არიან რეგიონში მცხოვრები და შესაბამის საარჩევნო რეესტრში რეგისტრირებული მოქალაქეები. აქტიური საარჩევნო უფლებით არ სარგებლობენ:

- ა) პირები, რომელთა მიმართაც კანონიერ ძალაში შესულია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- ბ) ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებული პირები ან ორი პირისგან შემდგარი სამედიცინო კოლეგიის მიერ შეურაცხადად ცნობილი პირები, თუნდაც მათ მიმართ გამოყენებული სასჯელით აკრძალული არ იყოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება;
- გ) პირები, რომლებიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით შეზღუდულნი არიან პოლიტიკურ უფლებებში.

რაც შეეხება პასიურ საარჩევნო უფლებას, ამ უფლებით სარგებლობენ პორტუგალიელი ამომრჩევლები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მადეირის ავტონომიურ რეგიონში.

მადეირის საკანონმდებლო ასამბლეაში არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:

- ა) რესპუბლიკის პრეზიდენტს;
- ბ) ავტონომიურ რეგიონებში რესპუბლიკის წარმომადგენლებს;
- გ) სამოქალაქო გუბერნატორს და მის მოადგილეს;
- დ) სამსახურში მყოფ სასამართლო მაგისტრატებს ან პროკურორებს;
- ე) მოსამართლეებს, რომლებიც ახორციელებენ წინა პუნქტით გათვალისწინებულ ფუნქციებს;

¹² პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 112-ე მუხლის მე-9 პუნქტი ადგენს, რომ ევროკავშირის კანონმდებლობისა და სხვა სამართლებრივი აქტების შიდა სამართლებრივ სისტემაში გადმოტანა ხორციელდება კანონის, დეკრეტ-კანონის ან რეგიონული საკანონმდებლო დეკრეტის ფორმით.

- ვ) სამხედრო მოსამსახურეებს და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მუდმივ პერსონალს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას;
- ზ) სამსახურში მყოფ კარიერულ დიპლომატებს;
- თ) მათ, ვინც კანდიდატურის წარდგენის დღეს ახორციელებენ დიპლომატიურ ფუნქციებს;
- ი) ეროვნული საარჩევნო კომისიის წევრებს.

საკანონმდებლო ასამბლეის წევრებს ირჩევენ პარტიული სიების შესაბამისად. არცერთ პარტიას უფლება არ აქვს, წარადგინოს ერთზე მეტი სია. ამასთან, პირი არ შეიძლება იყოს ერთზე მეტ სიაში. რაც შეეხება კანდიდატურების წარდგენას სიაში, იგი პოლიტიკური პარტიების უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციაა. მადეირის ავტონომიური რეგიონის საარჩევნო კანონმდებლობით, შესაძლებელია კანდიდატების შეცვლა მხოლოდ არჩევნებამდე არაუგვიანეს 15 დღით ადრე და შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუკი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კანდიდატად რეგისტრაცია გაუქმდა;
- ბ) კანდიდატის გარდაცვალების ან ფიზიკური და ფსიქიკური ავადმყოფობის გამო კანდიდატად ყოფნის შეუძლებლობისას;
- გ) კანდიდატის მიერ საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში.

თითოეული პარტია საარჩევნო კამპანიის დროს იყენებს თავის დასახელებას, აკრონიმს¹³ და სიმბოლიკას. პოლიტიკურ პარტიათა კოალიციის შემთხვევაში სიმბოლოები და აკრონიმები მკაცრად უნდა ასახავდეს მათში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების სიმბოლოებისა და აკრონიმების ერთობლიობას. მადეირის საკანონმდებლო ასამბლეის არჩევნები ტარდება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე და საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების განაწილებისა და მანდატებში ასახვისას გამოიყენება ე.წ. დ'ონტის მეთოდი.

ახალარჩეული საკანონმდებლო ასამბლეა იკრიბება არჩევნების შედეგების შეჯამებიდან მე-15 დღეს. მადეირის საკანონმდებლო ასამბლეის დეპუტატის უფლებამოსილება იწყება არჩევნების შემდეგ, ასამბლეის პირველი შეკრებისთანავე და წყდება შემდგომი არჩევნების საფუძველზე არჩეული ასამბლეის უფლებამოსილების ცნობისთანავე, გარდა ცალკეული დეპუტატებისთვის უფლებამოსილების ინდივიდუალურად შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევებისა. ახალარჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილებები უნდა დამოწმდეს საკანონმდებლო ასამბლეის მიერ.

საკანონმდებლო ასამბლეის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ კომისიებს, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც სპეციალიზებული, ასევე დროებითი (შეზღუდული დროით და განსაზღვრული მიზნით შექმნილი) და საგამოძიებო

ხასიათის. კომისიების შემადგენლობა კომპლექტდება საკანონმდებლო ასამბლეაში წარმოდგენილ პოლიტიკურ ჯგუფებსა და პარტიებს შორის პროპორციულად, მათი რაოდენობის მიხედვით და გამოითვლება დ'ონტის უდიდესი საშუალოს მეთოდით. თითოეული კომისიის რაოდენობა და მასში პარტიული კვოტების განაწილება სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს შორის განისაზღვრება პრეზიდენტის წინადადების საფუძველზე, ასამბლეის განკარგულებით, პარტიის წარმომადგენელთა კონფერენციის მოსმენის საფუძველზე, იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი მონაწილეობა მინიმუმ ერთ კომიტეტში მაინც.

საკანონმდებლო ასამბლეაში კომიტეტების ფარგლებში, ასევე შეიძლება შეიქმნას ქვეკომიტეტები, ასამბლეის პრეზიდენტის თანხმობისა და პარტიის წარმომადგენელთა კონფერენციის მოსმენის შემდეგ. ქვეკომიტეტის შემადგენლობისა და კომიტეტის უფლებამოსილების ჩარჩოებში ქვეკომიტეტის უფლებამოსილების განსაზღვრა არის კომიტეტის პასუხისმგებლობა. ქვეკომიტეტის სამუშაო დასკვნები წარედგინება კომიტეტს. კომიტეტის წევრის დანიშვნა შესაბამისი პარტიისა თუ საპარლამენტო ჯგუფის პასუხისმგებლობაა და მან ის უნდა განახორციელოს საკანონმდებლო ასამბლეის თავმჯდომარის მიერ დადგენილ ვადაში. თუკი რომელიმე პარტიული ჯგუფი არ ნიშნავს და ან შეუძლია დანიშნოს კომიტეტში წევრი, დარჩენილი ვაკანსია სხვა პოლიტიკური ჯგუფის მიერ არ ივსება. არცერთი წევრი არ შეიძლება იქნეს ნომინირებული სამზე მეტი სპეციალიზებული კომიტეტის წევრად. თუკი წევრი კარგავს საპარლამენტო ჯგუფის წევრობას, იგი კარგავს შესაბამისი ჯგუფის კვოტით კომიტეტის წევრობის უფლებასაც. ამასთან, საპარლამენტო ჯგუფი ან პარტია, რომელმაც წარადგინა კომიტეტში შესაბამისი წევრი, უფლებამოსილია, გამოიწვიოს ეს წევრი, ან ჩაანაცვლოს იგი სხვა კანდიდატით.

საკანონმდებლო ასამბლეის ეფექტური ფუნქციონირების პერიოდში, ასევე საკანონმდებლო ასამბლეის დაშლისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, საკანონმდებლო ასამბლეაში მოქმედებს მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც შედგება საკანონმდებლო ასამბლეის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტებისა და საკანონმდებლო ასამბლეაში წარმოდგენილი პარტიების წარმომადგენლებისაგან.

საკანონმდებლო ასამბლეამ ნებისმიერი მიზნით შეიძლება შექმნას დროებითი კომისიები. დროებითი კომიტეტის შექმნის ინიციატივა შეიძლება განახორციელოს ნებისმიერმა საპარლამენტო პოლიტიკურმა ჯგუფმა. ასეთი კომიტეტები ვალდებული არიან, განახორციელონ მათთვის დაკისრებული ფუნქციები და წარუდგინონ შესაბამისი დასკვნები საკანონმდებლო ასამბლეას.

მადეირის ავტონომიური რეგიონის სტატუტი ადგენს მადეირის საკანონმდებლო ასამბლეის

13 სიტყვის ან სიტყვათშეთანხმების საწყისი ასოებიდან წარმოქმნილი სპეც. აბრევიატურა.

განსაკუთრებულ კომპეტენციათა ჩამონათვალს, რომელთა ნაწილიც, ბუნებრივია, ემთხვევა, ზოგადად, მადეირის ავტონომიური რეგიონის უფლებამოსილებებს. მადეირის საკანონმდებლო ასამბლეის განსაკუთრებულ კომპეტენციებში შედის:

- რესპუბლიკის საერთო კანონებით გათვალისწინებული ძირითადი პრინციპების დაცვით საკანონმდებლო ფუნქციის განხორციელება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოა რეგიონისათვის და არ შედის სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ კომპეტენციაში;
- რესპუბლიკის კრების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მიეკუთვნება აღნიშნული კრების ნაწილობრივ საკანონმდებლო კომპეტენციას, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც გათვალისწინებულია პორტუგალიის კონსტიტუციის 165-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ფ“ ქვეპუნქტებით, „დ“ ქვეპუნქტის პირველი პუნქტით, „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებით, „ნ“ ქვეპუნქტის მე-2 პუნქტით, ასევე „პ“-„რ“, „ტ“, „უ“, „ქ“, „ყ“ და „ც“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხებისა;¹⁴
- საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელება რესპუბლიკის კრებაში საკანონმდებლო წინადადებისა და შესაბამისი შესწორებების შეტანის მეშვეობით.
- კანონის შესაბამისად საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება საგადასახადო სფეროში, რესპუბლიკის კრების მიერ მიღებული ჩარჩო კანონის მიხედვით ეროვნული ფისკალური სისტემის რეგიონულ სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიმართ საზედამხებდელი უფლებამოსილების განხორციელება;
- ზედამხედველობის განხორციელება იმ სასახურებზე, საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და სახელმწიფო და ნაციონალიზებულ საწარმოებზე, რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებულად ან ძირითადად ვრცელდება რეგიონის ტერიტორიაზე, ასევე სხვა შემთხვევებში, როდესაც ეს განპირობებულია რეგიონის ინტერესებით;
- ევროკავშირის მშენებლობის პროცესში მთავრობის შუამავლობით შესაბამის რეგიონალურ დაწესებულებებსა და დელეგაციებში მონაწილეობა, რომლებიც ჩართულნი არიან ევროკავშირის ფარგლებში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, თავისი წარმომადგენლების მეშვეობით; აგრეთვე ევროკავშირის კანონმდებლობისა და სხვა სამართლებრივი აქტების პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 112-ე მუხლის შესაბამისად გადმოტანა;¹⁵

- რეგიონის ბიუჯეტის დამტკიცება;
- რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმისა და ანგარიშის დამტკიცება;
- ეროვნული ფისკალური სისტემის რეგიონის თავისებურებებთან ადაპტაცია;
- წინადადებების შეტანა რეგიონული რეფორმების ჩატარების თაობაზე;
- კონსტიტუციისა და საკუთარი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეგიონის სტატუტის შესაბამისად საკუთარი რეგლამენტის შემუშავება და მიღება და ა.შ.

საკანონმდებლო საქმიანობასთან ერთად საკანონმდებლო ასამბლეის მთავარი ფუნქციაა რეგიონის მთავრობის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა, რისთვისაც მას აქვს ისეთი მექანიზმები და ფუნქციები, როგორებიცაა: მთავრობის პროგრამის დამტკიცება, კითხვის დასმის უფლება, ინტერპელაცია, პეტიციების განხილვისა და საგამოძიებო დროებითი კომისიების მეშვეობით საკითხის მოკვლევა.

საკანონმდებლო ასამბლეის წევრები სარგებლობენ იმუნიტეტითა და ინდემნიტეტით. საკანონმდებლო ასამბლეის წევრი არ შეიძლება მიცემულ იქნეს სამოქალაქო, სისხლის ან დისციპლინურ პასუხისმგებლობაში თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელების დროს გამოთქმული მოსაზრებებისათვის. ასევე არ შეიძლება საკანონმდებლო ასამბლეის წევრის დაკავება ან დაპატიმრება საკანონმდებლო ასამბლეის თანხმობის გარეშე.

საკანონმდებლო ასამბლეის წევრები სარგებლობენ ისეთი უფლებებით, როგორებიცაა: სამხედრო სამსახურის გადავადება, საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას სატრანსპორტო შეღავათებით სარგებლობა, სპეციალური საიდენტიფიკაციო ბარათით სარგებლობის უფლება, დიპლომატიური პასპორტით სარგებლობის უფლება, კანონით განსაზღვრული სუბსიდიებით სარგებლობის უფლება, პირადი დაზღვევა და ა.შ.

სახელმწიფო საბჭოსა და საკანონმდებლო ასამბლეაში ადგილების მქონე პოლიტიკურ პარტიებთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ მადეირის საკანონმდებლო ასამბლეა შეიძლება დათხოვნილ იქნეს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ. საკანონმდებლო ასამბლეის დათხოვნა იწვევს მადეირის მთავრობის გადაყენებას, რის შედეგადაც არჩევნებით ახალი რეგიონული მთავრობის მიერ თანამდებობის დაკავებამდე არსებული რეგიონული მთავრობა საქმიანობას ახორციელებს შეზღუდულად და შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოებრივი საქმეების მართვა-გამგებლობისათვის აუცილებელი საჭირო ღონისძიებების გატარებით. მადეირის საკანონმდებლო ასამბლეის ორგანოს დათხოვნით არ წყდება მისი წევრების თანამდებობაზე ყოფნის ვადა ან მისი მუდმივი კომისიის მიერ მოვალეობების შესრულება,

14 აღნიშნულ საკითხთა ჩამონათვალი მოცემულია მე-10 სქოლიოში.

15 იხ. მე-12 სქოლიო.

ახალი არჩევნების შედეგად არჩეული პირველი სხდომის ჩატარებამდე.

რეგიონული საკანონმდებლო ასამბლეის მორიგი არჩევნების თარიღს ნიშნავს პორტუგალიის პრეზიდენტი, არჩევნებამდე 60 დღით ადრე, ხოლო დათხოვნის შემთხვევაში, არჩევნებამდე 55 დღით ადრე.

5. მადეირის ავტონომიური რეგიონის მთავრობის სტატუსი და უმაღლესობა

მადეირის რეგიონალური მთავრობა არის რეგიონული პოლიტიკისა და რეგიონული საჯარო ადმინისტრაციის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო. პორტუგალიის კონსტიტუცია, განსაზღვრავს რა რეგიონის მთავრობის სტატუსს, განმარტავს, რომ რეგიონულ მთავრობას აკისრია პოლიტიკური პასუხისმგებლობა რეგიონის საკანონმდებლო კრების წინაშე. მადეირის რეგიონული მთავრობის თავმჯდომარეს (პრეზიდენტს), რეგიონული საკანონმდებლო ასამბლეის არჩევნების შედეგების გათვალისწინებით და მასში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების მოსმენის შემდეგ ნიშნავს რესპუბლიკის წარმომადგენელი. რესპუბლიკის წარმომადგენელი რეგიონული მთავრობის თავმჯდომარის (პრეზიდენტის) წინადადებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რეგიონის მთავრობის წევრებს. რეგიონის მთავრობა უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგება რეგიონის საკანონმდებლო ასამბლეის წინაშე.

რეგიონის მთავრობის თავმჯდომარე (პრეზიდენტი) წარმოადგენს რეგიონის მთავრობას, კოორდინაციას უწევს მთავრობის საქმიანობას. რეგიონული მთავრობის თავმჯდომარის (პრეზიდენტის) მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს მის მიერ დანიშნული ვიცე-პრეზიდენტი. მადეირის რეგიონული მთავრობა შედგება პრეზიდენტისა და სამდივნოებისაგან. სამდივნოები იქმნება დარგობრივი ნიშნით. მადეირის მთავრობაში დღეის შემადგენლობით შექმნილია შემდეგი დარგობრივი სამდივნოები: ა) ეკონომიკის; ბ) განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის; გ) ფინანსების; დ) ჯანმრთელობისა და სამოქალაქო დაცვის; ე) ტურიზმისა და კულტურის; ვ) მოქალაქეობისა და სოციალური ინკლუზიის; ზ) გარემოს, ბუნებრივი რესურსებისა და კლიმატის ცვლილებების; თ) ზღვისა და მეთევზეობის; ი) სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების; კ) აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის. გარდა აღნიშნულისა, სამდივნოებთან ერთად მოქმედებს მონაცემთა დაცვის გენერალური ოფიცრის ოფისი.¹⁶ რეგიონული მთავრობის წევრები სარგებლობენ

საჯარო მოხელეებისათვის მოქმედი სოციალური დაცვის რეჟიმით.

მადეირის რეგიონული მთავრობა უფლებამოსილია: განახორციელოს აღმასრულებელი ხელისუფლება, წარმართოს რეგიონის პოლიტიკა და დემოკრატიული კანონიერების დაცვა, მიიღოს საჭირო ზომები რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, შეიმუშაოს რეგიონული მარეგულირებელი ბრძანებები, რომლებიც აუცილებელია საკანონმდებლო დადგენილებისა და რეგიონის ადმინისტრაციის ფუნქციონირებისათვის, აგრეთვე სხვა რეგულაციების, კერძოდ, განკარგულებების აღსრულებისათვის, შეიმუშაოს და საკანონმდებლო ასამბლეას წარუდგინოს თავისი სამოქმედო პროგრამა, შეიმუშაოს და რეგიონის საკანონმდებლო ასამბლეას წარუდგინოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმა, მოამზადოს რეგიონალური ბიუჯეტის პროექტი და წარუდგინოს საკანონმდებლო ასამბლეას დასამტკიცებლად, მონაწილეობა მიიღოს ეროვნული გეგმების შემუშავებაში, მონაწილეობა მიიღოს ტერიტორიული წყლების, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და საზღვაო ფონდების პოლიტიკის განსაზღვრაში, მონაწილეობა მიიღოს ფისკალური, ფულადი სახსრების, საფინანსო და სავალუტო პოლიტიკის განსაზღვრასა და დანერგვაში, კანონით დადგენილი წესით განახორციელოს რეგიონის მიერ შეგროვებული ან გენერირებული საგადასახადო შემოსავლების გამოყენება ადმინისტრირებაში და ა.შ.

რეგიონის მთავრობას უფლებამოსილება უწყდება:

- ა) ახლად არჩეული საკანონმდებლო ასამბლეის უფლებამოსილების ცნობისას;
- ბ) რეგიონის მთავრობის პრეზიდენტის გადადგომისას;
- გ) რეგიონის პრეზიდენტის გარდაცვალებისას ან მისი მუდმივი ფიზიკური შეუძლებლობისას;
- დ) საკანონმდებლო ასამბლეის მიერ უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებისას.

6. რესპუბლიკის წარმომადგენელი მადეირის ავტონომიურ რეგიონში

მადეირის ავტონომიურ რეგიონში სახელმწიფოს წარმომადგენს რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობის წარდგინებით სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ.¹⁷ გარდა თანამდებობიდან გადადგომის შემთხვევებისა, რესპუბლიკის წარმომადგენლის უფლებამოსილების ვადა ემთხვევა პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვადას

16 ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.madeira.gov.pt/Governo-Regional-Madeira/Governo/OGoverno/Secretarias>, [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.10.2022 წ.].

17 რესპუბლიკის წარმომადგენლის ინსტიტუტი მოქმედებს პორტუგალიის მეორე ავტონომიურ რეგიონში - აზორის კუნძულების ავტონომიამში.

და იგი წყდება რესპუბლიკის ახალი წარმომადგენლის მიერ თანამდებობის დაკავებისთანავე. ვაკანსიის არსებობისას, მისი არყოფნისას ან ისეთი დამატრეკილებელი გარემოებების არსებობისას, რომლებიც ხელს უშლის მას ფუნქციების განხორციელებაში. რეგიონში რესპუბლიკის წარმომადგენელს ჩაანაცვლებს რეგიონის საკანონმდებლო ასამბლეის თავმჯდომარე. რესპუბლიკის წარმომადგენელი, იმავდროულად, არის ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭოსა და შიდასახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოების წევრი. რესპუბლიკის წარმომადგენელი პასუხისმგებელია რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე.

მადეირის ავტონომიურ რეგიონში რესპუბლიკის წარმომადგენლის კომპეტენციებში, სხვა კომპეტენციებთან ერთად, შედის რეგიონის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე დეკრეტების ხელმოწერა და გამოქვეყნება. რეგიონის საკანონმდებლო ასამბლეისათვის დეკრეტის გადაცემიდან, რომელიც მას გადაეგზავნა ხელმოსაწერად, ან საკონსტიტუციო სასამართლოს იმ გადანყვებილების გამოქვეყნებიდან 15 დღის განმავლობაში, რომლითაც დეკრეტის ნორმა არ იქნა მიჩნეული არაკონსტიტუციურად, რესპუბლიკის წარმომადგენელი ვალდებულია, ხელი მოაწეროს ან გამოიყენოს ვეტოს უფლება, მოითხოვს რა მოტივირებული მიმართვით ხელახალ განხილვას. თუ რეგიონის საკანონმდებლო კრება თავის გადანყვებილებას დაამტკიცებს უფლებამოსილი წევრების ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, რესპუბლიკის წარმომადგენელი ვალდებულია, ხელი მოაწეროს დოკუმენტს მისი გადაცემიდან 8 დღის ვადაში. რეგიონის მთავრობის დეკრეტის გადაცემიდან 20 დღის განმავლობაში, რომელიც მას გაეგზავნა ხელმოსაწერად, რესპუბლიკის წარმომადგენელი ვალდებულია, ხელი მოაწეროს, ან უარი თქვას ხელმოწერაზე და ამის მიზეზის შესახებ წერილობითი ფორმით მოახსენებს რეგიონულ მთავრობას, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია, დეკრეტი გარდაქმნას წინადადებად და წარუდგინოს იგი რეგიონის საკანონმდებლო ასამბლეას.

რესპუბლიკის წარმომადგენელი უფლებამოსილია, მიმართოს პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერი იმ ნორმის კონსტიტუციურობის წინასწარი შემოწმების მოთხოვნით, რომელსაც შეიცავს მისთვის ხელმოსაწერად გაგზავნილი საკანონმდებლო დეკრეტი. კონსტიტუციურობის წინასწარი შემოწმების მოთხოვნით მიმართვა შეიძლება დოკუმენტის მიღებიდან რვა დღის განმავლობაში. საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, პასუხი გასცეს ოცდახუთი დღის განმავლობაში. თუ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს ნორმას, რესპუბლიკის წარმომადგენელი ვეტოს ადებს ნორმას და უკან უბრუნებს მიმღებ ორგანოს. ამ შემთხვევაში დეკრეტი არ შეიძლება

ხელმოწერილ იქნეს ან გამოქვეყნდეს მისი მიმღები ორგანოს მიერ დეკრეტის ტექსტიდან არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ამოღების გარეშე, ან, თუ აღნიშნული ნორმა ხელახლა არ დამტკიცდება სხდომაზე დამსწრე დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, რომელთა რაოდენობაც უნდა აღემატებოდეს უფლებამოსილი დეპუტატების აბსოლუტურ უმრავლესობას. თუ დეკრეტის ტექსტი შეიცვლება, რესპუბლიკის წარმომადგენელი უფლებამოსილია, მოითხოვოს ახალი ტექსტის ნებისმიერი ნორმის კონსტიტუციურობის წინასწარი შემოწმება.

7. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები

პორტუგალიის ავტონომიების თავისებურებაა ისიც, რომ, კონსტიტუციის 227-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ავტონომიებს შესაბამისი სტატუტებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში აქვთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შექმნის და გაუქმების, შესაბამისი ტერიტორიის შეცვლის, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიმართ საზედამხედველო უფლებამოსილების განხორციელების უფლება.

პორტუგალიის ტერიტორიის კონტინენტური ნაწილისაგან განსხვავებით, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს წარმოადგენენ თემები, მუნიციპალიტეტები და ადმინისტრაციული რეგიონები, მადეირის ავტონომიური რეგიონი მოიცავს მხოლოდ თემებსა და მუნიციპალიტეტებს. მადეირის ავტონომიური რეგიონი მოიცავს 11 მუნიციპალიტეტს, ესენია: კალეტა, კამარა დე ლობოსი, მაჩიკო, პონტა დო სოლი, პორტო მონიზი, პორტო სანტო, რიბეირა ბრავა, სანტა კრუზი, სანტანა, სან ვისენტე და ფუნშალი. თავის მხრივ, თითოეული მუნიციპალიტეტი დაყოფილია თემებად. თემების რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული მუნიციპალიტეტის თავისებურებასა და სიდიდეზე. ყველაზე ნაკლები – ერთი თემი – შექმნილია პორტო სანტოს მუნიციპალიტეტში, ხოლო ყველაზე მეტი – ათი თემი – ფუნშალის მუნიციპალიტეტში.

დასკვნა

მადეირის ავტონომიური რეგიონის სტატუსის შესახებ წინამდებარე სტატიაში მოცემული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ იგი არის ტერიტორიული, კუნძულოვანი ავტონომია, რომლის შექმნისა და ავტონომიურობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაც მისი გეოგრაფიული თავისებურებაა. მისი სტატუსი განისაზღვრება ქვეყნის კონსტიტუციითა და საკუთარი სტატუტით, რომელიც საჭიროებს ქვეყნის მთავარი საკანონმდებლო ორგანოს

მიერ დამტკიცებას.¹⁸ მას აქვს საკუთარი უფლებამოსილებების საკმაოდ ვრცელი სპექტრი, რომელთაც იგი ახორციელებს საკუთარი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით. ამასთან, უფლებამოსილებათა მთელი რიგის განხორციელება საჭიროებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ერთგვარ დადასტურებას, რაც გამოიხატება რესპუბლიკის წარმომადგენლის მიერ მადეირის სახელისუფლებო ორგანოთა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე დეკრეტების ხელმოწერასა და გამოქვეყნებაში. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამის ფონზეც კი იგი, როგორც ავტონომიური რეგიონი, საკმაოდ ქმედითია და, სხვა

გარემოებებთან ერთად, ამ ავტონომიურობით მას თავისი წვლილი შეაქვს პორტუგალიის, როგორც ქვეყნის, განვითარებაში. ზოგადად, როგორც აღნიშნავენ, პორტუგალიაში აზორისა და მადეირის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ავტონომია შეიძლება მომდინარეობდეს როგორც ძლიერი რეგიონალური იდენტობიდან, ასევე არანაკლებ ძლიერი ეროვნული იდენტობიდან. დეცენტრალიზებული განვითარება არ გამოირიცხავს ცენტრალურ, სახელმწიფო ინვესტიციებს და საშუალებას აძლევს ავტონომიურ რეგიონებს, თავიანთი წვლილი შეიტანონ განვითარების ეროვნულ გეგმაში.¹⁹

18 ამ თვალსაზრისით იგი მსგავსია სხვა, მათ შორის პორტუგალიის მეზობელი ქვეყნის – ესპანეთის, ავტონომიებისა, რომლებშიც ავტონომიური საზოგადოების სტატუტის პროექტი მუშავდება კრების მიერ, და შედგება პროვინციის კრების წევრების ან დაინტერესებული პროვინციების კუნძულთაშორის ორგანოსაგან, მათგან არჩეული დეპუტატებისა და სენატორებისაგან, და გადაეცემა გენერალურ კორტესებს კანონის სახით განსახილველად.

19 Finaud M., Models of Territorial Tutonomy: convergences and differences., International Academic Conference., Dakhla, Morocco, 2-3 July 2018, 7.

არაპირდაპირი არჩევნები, საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი



„სმა უფრო ძლიერია, ვიდრე სიტყვა“

აბრაამ ლინკოლნი

დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა წარმოდგენილია თავისუფალი და თანასწორი საარჩევნო სისტემის გარეშე. საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობა ცდილობდა, შეექმნა ჯერ ერთიანი სისტემა მოწესრიგებული სახელმწიფოს სახით და შემდეგ დაემკვიდრებინა სრულყოფილი საარჩევნო სისტემა, რომლის მეშვეობითაც ერთი მმართველის მიერ მოხდებოდა ძალაუფლების ლეგიტიმური გადაცემა სხვაზე. მონარქიული და ერთპიროვნული მმართველობა მიმართულია ხალხის ნების გამოვლინების წინააღმდეგ. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია (1789-1799 წწ.) იყო გარდამტეხი პოლიტიკური მოვლენა ევროპისა და ამერიკის ცივილიზაციათა ისტორიაში. აბსოლუტური მონარქია შეიცვალა რესპუბლიკით. რესპუბლიკური მმართველობისთვის კი მნიშვნელოვან საფუძვლად იქცა ხალხის თავისუფალი ნება.

არჩევნების ინსტიტუტის წარმოშობასა და დამკვიდრებას ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი უძღოდა წინ. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახისა და ხასიათის არჩევნები. საპრეზიდენტო არჩევნები შეიძლება ჩატარდეს პირდაპირი და არაპირდაპირი წესით; პირდაპირი არჩევნების დროს პრეზიდენტი უშუალოდ ქვეყნის მოქალაქეების მიერ აირჩევა; არაპირდაპირი არჩევნების დროს პრეზიდენტს ირჩევენ საპარლამენტო მანდატის მქონე პირები, ან ირჩევენ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ერთჯერადად მოწვეული სპეციალური საარჩევნო შემადგენლობა.

არაპირდაპირი არჩევნების დროს ამომრჩეველთა ნების პირდაპირი გამოვლინება არ ხდება,

ნიკოლოზ მეგრელიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული მასწავლებელი, სამართლისა და პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე

არამედ სპეციალური საარჩევნო შემადგენლობა ასრულებს ამომრჩევლის როლს. მართალია, ზოგიერთი მოსაზრებით, არაპირდაპირი არჩევნები არ გამოხატავს ამომრჩეველთა ნებას, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საარჩევნო სპეციალურ შემადგენლობაში შედიან ხალხის მიერ არჩეული (ქვეყნის საპარლამენტო და სხვადასხვა წარმომადგენლობითი ორგანოს არჩეული წევრები) წარმომადგენლები, ეს ქმნის ნდობის მანდატს არჩეული კონსტიტუციური ორგანოს მიმართ. წარმომადგენლობითი დემოკრატია ითვალისწინებს ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების მანდატს უმაღლესი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. წარმომადგენლები მოქმედებენ ხალხისთვის და ხალხის სახელით.

არაპირდაპირი არჩევნები არის ორი სახის: ირიბი და მრავალსაფეხურიანი. ირიბი არჩევნების დროს ამომრჩევლები ირჩევენ სპეციალური მანდატის მქონე ნდობით აღჭურვილ პირებს (აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები - ამომრჩეველთა კოლეგია), რომლებიც შემდგომ ირჩევენ მათი სახელით უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობის პირებს. მრავალსაფეხუროვანი არჩევნების შემთხვევაში კი მოქალაქეთა ნებას გამოხატავს სპეციალური ორგანო, რომელიც შედგება პარლამენტის, პარლამენტის ერთ-ერთი პალატის ან სხვა არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებისგან (იტალიის პრეზიდენტის არჩევის წესი).

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი არის ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის კონსტიტუციაში და მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს, როგორც პოლიტიკურ, ისე სა-მოქალაქო წრეებში. ის აირჩევა ფედერალური კრების მიერ, რომელიც არის კონსტიტუციური ორგანო. ფედერალური კრება იკრიბება სპეციალურად პრეზიდენტის არჩევისათვის და ის შედგება ბუნდესტაგის (გერმანიის პარლამენტის ქვედა პალატა) დეპუტატებისა და მიწების პარლამენტის წევრებისაგან. 2022 წლის გერმანიის პრეზიდენტის არჩევნებში ფედერალური კრების 1472 დელეგატი მონაწილეობდა.¹ გერმანიაში

1 საინფორმაციო სააგენტო „GHN“, ვებგვერდი: <https://ghn.ge/news/279051-germaniashi-dghes-saprezidento-archevnebi-gaimarteba>

ფედერალური კრების ფორმირებისას მოქმედებს წარმომადგენლობის პრინციპი (პრეზიდენტი აირჩევა ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან) და ფედერალური პრინციპი (არჩევნებში თანაბრად მონაწილეობენ ფედერალური მინების პარლამენტებისა და ქვეყნის პარლამენტის წარმომადგენლები). გერმანიის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობის სიმბოლო.

1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას პრეზიდენტი არ ჰყოლია. მთავრობის თავმჯდომარე კი არაპირდაპირი წესით აირჩეოდა პარლამენტის მიერ.

1921 წლიდან საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდგომ ქვეყანას არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი გზით სახელმწიფოს მეთაური არ აურჩევია. საბჭოთა კავშირში არ არსებობდა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების საჭიროება, რადგან სისტემა ემყარებოდა ბელადის და მისი ერთი პარტიის ძალადობრივ ავტორიტეტს (ბელადი, პარტია, მუშათა კლასი, მამა).

1991 წლის 14 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ შემოიღო საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა. იმავე დღეს უზენაესმა საბჭომ არაპირდაპირი წესით, ღია კენჭისყრით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე ზვიად გამსახურდია აირჩია. 1991 წლის 26 მაისს პირველი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა. მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ (86,14%) საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩია. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღების შემდგომ ოთხივე პრეზიდენტი (ედუარდ შევარდნაძე 1995-2003 წწ., მიხეილ სააკაშვილი 2004-2013 წწ., გიორგი მარგველაშვილი 2013-2018 წწ., სალომე ზურაბიშვილი 2018 წლიდან დღემდე) პირდაპირი წესით აირჩიეს.

საქართველოში 1995 წლის კონსტიტუციის მიღებიდან რამდენიმეჯერ შეიცვალა მმართველობის ფორმა, რაც დამახასიათებელი არის ახალი დემოკრატიისა და განვითარებადი სახელმწიფოების შემთხვევაში. სახელმწიფოს განვითარების ამ ეტაპზე ხელისუფლება და საზოგადოება ცალ-ცალკე საუკეთესო სისტემის ძიების პროცესშია. ხელისუფლებისთვის დამახასიათებელია ძალაუფლების გამყარების გარკვეული ხერხების ძებნა და კონსტიტუციის იარაღად გამოყენება. საპრეზიდენტო, შერეული და საპარლამენტო მმართველობის ფორმები საქართველოს უახლესი ისტორიისა და დღევანდლობის ნაწილია. საპარლამენტო რესპუბლიკის ათვლის წერტილი 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ იწყება. ეს თარიღი ორმაგად მნიშვნელოვანია: პირველად მოხდა ხელისუფლების გადაცემა საარჩევნო გზით და სახელმწიფო დადგა ახალი გამომწვევის – საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნის – წინაშე. 2024 წელი ქართული

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში უნდა დარჩეს უმნიშვნელოვანეს თარიღად, როდესაც შეიცვლება საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევის წესი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხია. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.“² საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით გათვალისწინებულია პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევა. პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესი დამკვიდრებულია ევროპულ სახელმწიფოებში, სადაც მმართველობის ფორმა საპარლამენტო რესპუბლიკაა. ხშირ შემთხვევაში პრეზიდენტის უფლებამოსილებები საპარლამენტო რესპუბლიკაში ძალიან შეკვეცილი და სიმბოლურია: 1. პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურია, 2. ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტია, 3. საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალია, 4. წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში. ზემოაღნიშნული ჩანაწერები არის ზოგადი ხასიათის და არ ქმნის სრულ სურათს პრეზიდენტის ძალაუფლების შესახებ. პრეზიდენტი საპარლამენტო რესპუბლიკაში თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას მთავრობაზე (კონტრასიგნაცია) დამოკიდებული, რაც გულისხმობს, რომ მთელი პასუხისმგებლობა, როგორც იურიდიული, ისე პოლიტიკური, ეკისრება მთავრობას. საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა კი ქმნის ლეგიტიმაციის მაღალ ხარისხს. ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული თანამდებობის პირის უფლებამოსილებები უნდა იყოს ფართო და, შესაბამისად, მისი მონაწილეობა ხელისუფლების განხორციელების პროცესში – ეფექტური. დღეს არსებული პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტის მდგომარეობა ხშირად წარმოშობს კომპეტენციათა გამიჯვნის პრობლემას. საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: „საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.“³ ამ ჩანაწერიდან კარგად ჩანს, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას სრულად ფლობს მთავრობა, საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულების გათვალისწინებით. კომპეტენციათა კონფლიქტის შემთხვევის ანალიზისთვის შეიძლება მოვიყვანოთ პრეზიდენტსა და მთავრობას შორის წარმოშობილი კონფლიქტი პრეზიდენტის მიერ განხორციელებული საერთაშორისო ვიზიტების მთავრობისთვის შეთანხმებასთან დაკავშირებით. პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 2022 წლის 14 მარტს საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას აღნიშნა, რომ მთავრობამ ევროპის ქვეყნებში სამუშაო ვიზიტებზე წერილობითი უარი უთხრა და მათ დასაგეგმავად პირადი კონტაქტები

2 საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

3 საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

გამოიყენა.⁴ მთავრობამ ასევე დააყენა საქართველოს ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელების დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის უმოქმედობის კონსტიტუციურობის საკითხი. 2022 წლის 15 მარტს მმართველმა პარტიამ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნული იყო, რომ: მთავრობა იძულებული ხდება, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციების შესახებ დავის პროცედურის ფარგლებში და საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევის დადასტურება მოითხოვოს.⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 10 ივნისს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1711) მიმართა საქართველოს მთავრობამ. კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ არის გამხდარი საქართველოს ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელების დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის უმოქმედობის კონსტიტუციასთან შესაბამისობა. კერძოდ, 2022 წლის მარტში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და შესთავაზა, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე მყოფი დავით ბაქრაძე დაენიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუდმივ წარმომადგენლად, ხოლო კახა იმნაძე კანადაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე. იმავდროულად, საქართველოს მთავრობამ, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტს მიმართა წარდგინებით, კახა იმნაძისთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუდმივი წარმომადგენლის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე. საქართველოს პრეზიდენტმა ხსენებული წარდგინებების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა და განმარტა, რომ არსებულ ვითარებაში მიზანშეწონილად არ მიაჩნდა შესაბამის თანამდებობებზე მითითებული კანდიდატურების დანიშვნა. საქართველოს მთავრობის პოზიციით, საქართველოს პრეზიდენტი წარდგინებების უარყოფითა და უმოქმედობით, რაც გამოიხატა წარდგენილი კანდიდატების არდანიშვნაში, პირდაპირ შეიჭრა საქართველოს მთავრობის ექსკლუზიურ კონსტიტუციურ უფლებამოსილებაში, განახორციელოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა. საქართველოს მთავრობას მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუცია ადგენს საპარლამენტო მმართველობის სისტემას. ამ სისტემაში კი აღმასრულებელი ხელისუფლების ერთადერთი უმაღლესი ორგანოა საქართველოს მთავრობა, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას“. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს, იგი არ წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებას

და მას ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობის უფლებამოსილება არ აქვს. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი და სრულად მოკლებულია აღმასრულებელ ძალაუფლებას. გამომდინარე იქიდან, რომ ელჩი და სხვა დიპლომატიური წარმომადგენელი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, მისი დანიშვნა და გათავისუფლება, მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, უპირობოდ აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციად უნდა იქნეს მიჩნეული. მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ საპარლამენტო მმართველობის სისტემაში სახელმწიფოს მეთაურის სტატუსისა და უფლებამოსილებების განმსაზღვრელ კონსტიტუციურ ნორმებს ახასიათებს სიმბოლიზმის მაღალი ხარისხი. ვინაიდან ელჩი არის სახელმწიფოს წარმომადგენელი, მნიშვნელოვანია, მისი დანიშვნა იმ ორგანოს მიერ ხორციელდებოდეს, რომელიც, სიმბოლური თვალსაზრისით, სახელმწიფოს მეთაურის სტატუსს ატარებს. აქვე მოსარჩელე აღნიშნავს, რომ პრეზიდენტი ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს საქართველოს პრემიერმინისტრის თანახელმოწერით ნიშნავს. ამასთან, თანახელმოწერილ აქტებზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა მხოლოდ საქართველოს მთავრობას ეკისრება. საქართველოს კონსტიტუცია არ ადგენს საქართველოს პრეზიდენტისთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის შეფარდების არანაირ მექანიზმს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ხსენებულ უფლებამოსილებას მხოლოდ ფორმალური დატვირთვა აქვს, ხოლო მატერიალური თვალსაზრისით, ეს უფლებამოსილება მხოლოდ საქართველოს მთავრობას ეკუთვნის. ზემოაღნიშნულ საკითხზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა და მიიჩნია, რომ მართებულია, №1711 კონსტიტუციური სარჩელი განხილულ იქნეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ.⁶

საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტი არის პარტიული პოლიტიკისგან დისტანცირებული და განზე მდგომი ნეიტრალური ფიგურა. პრეზიდენტის ზეპარტიულობა მისი მთავარი ღირსებაა. მისი პარტიულ პოლიტიკაზე მაღლა დგომა ნიშნავს საჭიროების შემთხვევაში მის ჩართულობას პოლიტიკური კრიზისის დაძლევაში. პირდაპირი წესით არჩევნები რთული პროცესია და ის მოითხოვს დიდ ფინანსურ და ადამიანურ რესურსს, რაც მიგვაჩნია, რომ მხოლოდ პოლიტიკური პარტიისთვის არის დაძლევადი. პარტიული პროცესისგან დისტანცირებული სუბიექტი კი მოკლებულია შესაძლებლობას, აწარმოოს სრულფასოვანი წინასაარჩევნო კამპანია. არაპირდაპირი წესით არჩევნებს არ სჭირდება წინასაარჩევნო კამპანია და ხანგრძლივი პოლიტიკური ბატალიები.

4 ონლაინგამოცემა „ტაბულა“, ვებგვერდი: <https://tabula.ge/ge/news/682232-kobakhidze-tu-zurabishvilma-vizitebe-martali>

5 ტელეკომპანია „იმედი“, ვებგვერდი: <https://imedinews.ge/ge/politika/242174/qartuli-otsneba-prezidentma-shemogvtavaza-mteli-rigi-akhali-tamash-is-tsesebi--ashkaraa-rom-misi-survilia-konstitutsiis-migma-imoqmedos>

6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის საოქმო ჩანაწერი №23/1-1/1711 - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5506976?publication=0>

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 94-ე მუხლის მიხედვით: „საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ღია კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.“⁷ საპრეზიდენტო ვადა როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტისთვის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია: ინყება 4 წლიდან (ლატვია, აშშ, ბრაზილია), ხოლო ზედა ზღვარი განისაზღვრება 7 წლით (იტალია). საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები იმართება პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს პარლამენტი, გარდა ხელახალი არჩევნებისა, რომელსაც ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების გამართვის (ორგანიზების) უზრუნველყოფა ეკისრება საქართველოს პარლამენტს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მეშვეობით. პარლამენტის მიერ არჩევნების თარიღის დანიშვნა და პასუხისმგებლობა მის გამართვაზე ხაზს უსვამს პარლამენტის როლს და მნიშვნელობას საპარლამენტო მმართველობის ქვეყანაში, ცენტრალური საარჩევნო კომისია კი არის საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო, შესაბამისად, არჩევნების ხელმძღვანელობა, კონტროლი, პროცედურული და ტექნიკური გამართულობა წარმოუდგენელია მისი მონაწილეობის გარეშე. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვიდან 45 დღის განმავლობაში. უკანასკნელი გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ყველა მორიგი არჩევნებისთვის ახალ საკანონმდებლო ორგანოს მოუწევს კენჭისყრაში მონაწილეობა. თუ არჩევნების თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები იმართება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან 45 დღის ვადაში.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატისთვის დადგენილია საარჩევნო ცენზები. სხვადასხვა სახელმწიფოში მოქმედებს სხვადასხვა დამატებითი მოთხოვნა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი თანამდებობაზე მისი არჩევის ან დანიშვნის წინ. ცენზები, როგორც წესი, განსაზღვრულია ეროვნული კონსტიტუციებით და დაზუსტებულია საარჩევნო პროცესის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობით. მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდვა არ ზღუდავდეს პასიურ საარჩევნო

უფლებას, არამედ იყოს ლეგიტიმური მოთხოვნის გამავრცელებელი. საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრობდა 15 წელს მაინც.“⁸

საქართველოს პრეზიდენტს 2024 წლიდან აირჩევს საარჩევნო კოლეგია. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 300 წევრი. კოლეგიაში შედის: საქართველოს პარლამენტის ყველა წევრი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრი, ასევე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების (საკრებულოს) წევრები, რომლებსაც დაასახელებენ საკრებულოებში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიები. საკრებულოების წევრების საარჩევნო კოლეგიაში კვოტირება გულისხმობს მათ წარმოდგენას პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების პროპორციის მიხედვით. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 103²-ე მუხლის მე-3 პუნქტის ა,ბ,გ,დ ქვეპუნქტებში განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების შესაბამისად კვოტების განსაზღვრის ფორმულა.⁹ ზემოაღნიშნული ფორმით კოლეგიის ფორმირება საშუალებას აძლევს ხალხს, თავისი წარმომადგენლების (პარლამენტის წევრები, ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები) მეშვეობით აირჩიონ პრეზიდენტი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოლეგიაში გარკვეული კვოტით წარმოდგენა მნიშვნელოვანია, პირველი, იმით, რომ ხაზი ესმება ადგილობრივი თვითმმართველობის, როგორც ინსტიტუტის, მნიშვნელობას და, მეორე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო თავისი არსით ყველაზე ახლოს დგას ხალხთან, რადგან: „ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.“¹⁰

7 საქართველოს საარჩევნო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=74>

8 საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

9 ფორმულის მიხედვით: $P = A * B / C$:

ა) P არის უფლებამოსილი პოლიტიკური პარტიისათვის განსაზღვრული კვოტის ოდენობა, რომელიც მიღებული მთელი რიცხვია;

ბ) A არის იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ოდენობა, რომელმაც ბოლო მუნიციპალიტეტის ორგანოთა პროპორციული წესით, ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული არჩევნების შედეგების შესაბამისად, ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1 პროცენტი მაინც მიიღო;

გ) B არის საარჩევნო კოლეგიის სრულ შემადგენლობას გამოკლებული საქართველოს პარლამენტის ყველა წევრისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრის ჯამი;

დ) C არის ბოლო მუნიციპალიტეტის ორგანოთა პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე იმ პარტიების ნამდვილი ხმების რაოდენობაა ჯამი, რომლებმაც ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა ხმების 1 პროცენტი მაინც მიიღეს.

10 საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=63>

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო კოლეგიის არანაკლებ ოცდაათ წევრს. საარჩევნო კოლეგიის ერთ წევრს შეუძლია, მხოლოდ პრეზიდენტობის ერთი კანდიდატის წარდგენას დაუჭიროს მხარი. განცხადება, რომლითაც საარჩევნო კოლეგიის წევრები მიმართავენ პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციისთვის, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა და მასში უნდა იყოს მითითებული:

- ა) სახელი, გვარი;
- ბ) დაბადების თარიღი;
- გ) პროფესია;
- დ) თანამდებობა (საქმიანობა);
- ე) სამუშაო ადგილი;
- ვ) რეგისტრაციის ადგილი;
- ზ) პარტიულობა;
- თ) საქართველოში ცხოვრების ვადა;
- ი) წარმდგენი საარჩევნო კოლეგიის წევრებისა და მათი წარმომადგენლის სახელი, გვარი, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, თანამდებობა, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სხვა რეკვიზიტები (არსებობის შემთხვევაში).¹¹ პრეზიდენტობის წარდგენილმა კანდიდატმა აუცილებელია, განაცხადოს წერილობითი თანხმობა მონაწილეობაზე და წარმოადგინოს ხელწერილი, რომლითაც დადასტურდება, რომ ის, იმავდროულად, არ არის სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. თუ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი არის სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, საჭიროა, მან წარმოადგინოს უცხო სახელმწიფოს მიმართ წარდგენილი მიმართვა მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ. ზემოაღნიშნული საპრეზიდენტო კანდიდატის წარდგენის განცხადებას ხელს აწერს საარჩევნო კოლეგიის ყველა წარმდგენი წევრი.¹²

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-20 დღისა რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. საპრეზიდენტო კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ გამოიცემა განკარგულება. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციის შემდგომ გადაეცემა კანდიდატის შესაბამისი მოწმობა. „საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს მე-6 დღისა საქართველოს პარლამენტი და ცესკო თავიანთ ოფიციალურ ვებგვერდებზე აქვეყნებენ ცნობას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ, მისი სახელის, გვარის, დაბადების

წლის, თანამდებობის (საქმიანობის) და სამუშაო ადგილის მითითებით.“¹² საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს სჭირდება გარანტიები, რომლებითაც ის იღებს გარკვეულ ხელშეუხებლობას და დაცვას სახელმწიფოსგან: „არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე არ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დაკავება, დაპატიმრება ან გაჩხრეკა, თუ საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინებაზე ცესკო თანხმობას არ მისცემს. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცესკოს. თუ ცესკო მიიღებს სათანადო განკარგულებას, დაკავებული ან დაპატიმრებული საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.“¹³ ასევე დაუშვებელია პრეზიდენტობის კანდიდატის სამსახურიდან დათხოვნა ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა მისი თანხმობის გარეშე. ზემოაღნიშნული გარანტიები პრეზიდენტობის კანდიდატს სჭირდება პირადი და პროფესიული დაცულობის უზრუნველსაყოფად.

საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ცესკო ბეჭდავს სპეციალურ ბიულეტენებს, რომელთა ტექსტსა და ფორმას ადგენს განკარგულებით. ბიულეტენში მითითება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სახელი და გვარი.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება საქართველოს პარლამენტის სასახლეში, თბილისში. არჩევნები იწყება საარჩევნო დღის 9 საათზე და მთავრდება იმავე დღის 14 საათზე, ან ნებისმიერ დროს, თუ საარჩევნო კოლეგიის ყველა წევრი მისცემს ხმას. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს ესწრებიან საარჩევნო კოლეგიის წევრები, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ მოწვეული პირები, პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის უფლებამოსილი პირები. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები პირდაპირი ეთერის მეშვეობით გადაიცემა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.

არჩევნების დაწყებისას საარჩევნო კოლეგიის წევრებზე გაიცემა ბიულეტენები, რომელთა მიღებასაც ისინი დაადასტურებენ ხელმოწერით. საარჩევნო კოლეგიის წევრები ბიულეტენში ხაზავენ მათთვის სასურველ ერთ კანდიდატს და ათავსებენ მას წინასწარ დალუქულ გამჭვირვალე საარჩევნო ყუთში. არჩევნების პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება საპრეზიდენტო კანდიდატი, რომელიც მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ხმების ორ მესამედს მაინც. თუ არჩევნების პირველ ტურში საქართველოს პრეზიდენტი ვერ აირჩიეს, პარლამენტის თავმჯდომარე იმავე დღეს ან არჩევნების გამართვიდან არაუგვიანეს 7 დღისა ნიშნავს მეორე ტურს.

11 საქართველოს საარჩევნო კოდექსის 98-ე მუხლის მე-3 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=74#>!

12 საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მე-100 მუხლი, მე-7 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=74#>!

13 საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 103-ე მუხლი, მე-2 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=74#>!

არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს. თუ საუკეთესო შედეგი ორზე მეტ კანდიდატს აქვს, უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, ვინც უფრო ადრე დარეგისტრირდა ცესკოში კანდიდატად. არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის დაგროვებისას გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. თუ არჩევნები არ შედგა, ან კოლეგიამ პრეზიდენტი არ აირჩია, 30 დღის ვადაში ინიშნება ხელახალი არჩევნები. არჩევნების დანიშვნაზე ზემოაღნიშნული არჩევნების გარემოებების დადგომიდან 3 დღის ვადაში გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი. საქართველოს საარჩევნო კოდექსი ასევე ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში არჩევნების დანიშვნას. ასეთი გარემოებისას საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები იმართება უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღის ვადაში. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს ადგენს და აჯამებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების დასრულებისთანავე ცესკოს სხდომაზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში იმართება.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შესახებ.

არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე საარჩევნო კოლეგიას უფლებამოსილება უწყდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი განვითარების რთული გზა განვლო. გარე და შიდა პოლიტიკურმა ფაქტორებმა (სამოქალაქო ომი, კანონიერად არჩეული პრეზიდენტის დამხობა, რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამაჩაბლოს ოკუპაცია, 2008 წლის ომი რუსეთთან და ა.შ.) შეაფერხა სახელმწიფოს განვითარება, უარყოფითად იმოქმედა მმართველობის ფორმაზე და ქვეყნის ტერიტორიულ მონყობა დღემდე ღიადა დატოვა. საქართველოს მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ მოქმედი სამართლებრივი რეალობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ჩვენმა ქვეყანამ საპარლამენტო მმართველობის ფორმაზე გადასვლის პროცესში დროსა და სივრცეში განიცადა ტრანსფორმაცია. საქართველოს, როგორც ახალი საპარლამენტო რესპუბლიკის, მომავალი გამოწვევა პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევნებია.

ახალგაზრდების მონაწილეობა პრევენცია და პოლიტიკურ პროცესებში



შესავალი

ხშირად მოგვისმენია გულისწყრომა იმის შესახებ, რომ ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართულნი ზოგადად პოლიტიკურ პროცესებში. განსაკუთრებით კი არჩევნების პროცესში. ეს ქცევა ნამდვილად შესამჩნევია თითოეულ არჩევნებზე, თუმცა, სამწუხაროდ, დღემდე არ გვაქვს იმის უტყუარი მარჯვენა, კვლევის სახით თუ რამდენად არიან, ან არ არიან ჩართულნი ახალგაზრდები არჩევნების პროცესში. აქედან გამომდინარე, ჩვენი ვარაუდები უმეტესად ეყრდნობა პირად გამოცდილებას. 2013 წელს გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ჩაატარეს საქართველოს ახალგაზრდების ერთობლივი ეროვნული კვლევა (გრაუმანი, ყიფიანი, 2014). სამუშაოს შედეგები ცხადყოფს, თუ რა გამოწვევები უდგას ქვეყანას ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის კუთხით. მაგალითად, კვლევის თანახმად, კვლევის ჩატარების პერიოდში 15-იდან 29 წლამდე ახალგაზრდების 69,2 % არ იცნობს ბავშვთა უფლებების კონვენციას. იმავე კვლევის თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ 10,9 % იღებს მონაწილეობას ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადწყვეტაში. შემდეგი მონაცემები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდებში გამოწვევად რჩება დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ცოდნა და უნარები. ასევე მცირეა შესაძლებლობები, ახალგაზრდები მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუნდაც საკითხი სწორედ მათ ინტერესებს შეეხებოდეს. შესაბამისად, საზოგადოების ნაწილის წარმოდგენა, რომ ახალგაზრდების მონაწილეობა არჩევნებში სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით დაბალია, არ უნდა იყოს სიმართლისგან შორს. არჩევნებში და, ზოგადად, პოლიტიკურ თუ სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობისათვის აუცილებელია, მოქალაქე იზრდებოდეს და

შალვა ჩხეიძე

ევროპულ-ქართული ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი

ზოგადი განათლების მაგისტრი

შემდგომ წახალისებულ იქნეს პროცესში ჩასართავად. ზემოთ აღნიშნული კვლევა კი გვაჩვენებს, რომ ჩვენ ორივე კუთხით გამოწვევების წინაშე ვდგავართ.

სტატია უმეტესად შეეხება საკითხს, თუ რა ფაქტორები განაპირობებს ახალგაზრდების ნაკლებ ჩართულობას პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში და რისი გაკეთება არის შესაძლებელი იმისათვის, რომ შესაბამისად ვუპასუხოთ გამოწვევებს, რა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება იქნებოდა ამ კუთხით ქართული კონტექსტისათვის შესაბამისი.

პოლიტიკური პარტიები და ახალგაზრდების ჩართულობა

ახალგაზრდების მეტად ჩასართავად პოლიტიკურ პროცესებსა და არჩევნებში, მათი მონაწილეობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია, რომ პროცესებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები მიმზიდველი და საინტერესო იყოს ასაკობრივი ჯგუფისათვის. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგი, თუ რას სთავაზობენ ისინი ახალგაზრდა ამომრჩევლებს და რა დაპირებები აქვთ მათ წინასაარჩევნოდ, რითაც შეძლებენ მათ მოზიდვას. ვებგვერდის - partiebi.ge - კონტენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ პოლიტიკური პარტიების უმეტესობას ან საერთოდ არ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა ახალგაზრდული საკითხებისადმი, ან ძალიან მოკლედ და ბუნდოვნად (partiebi.ge, 2012). ასეთი დღის წესრიგით ახალგაზრდა ამომრჩევლის მოზიდვა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა ვერ მოხერხდება. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRIC) კვლევის მიხედვით, განათლება და დასაქმება არის ის ორი მთავარი საკითხი, რაც ყველაზე მეტად აწუხებთ ახალგაზრდებს (crric.ge, 2018). ამ კუთხით კი პარტიების უმრავლესობას, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ან არ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა, ან მათ მიერ გაჟღერებული ხედვა ბუნდოვანი და ზედაპირულია. შესაბამისად, არც არის გასაკვირი, როცა ვამჩნევთ, რომ აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის მონაწილეობა არჩევნებში არცთუ ისე სახარბიელოა. აუცილებელია აღნიშნულ საკითხზე მუშაობა, რათა პოლიტიკურმა პარტიებმა მოახერხონ და მოამზადონ ახალგაზრდებისთვის ისეთი შეთავაზებები თუ დაპირებები, რომლებიც ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის საინტერესო იქნება

და, შესაბამისად, გაზრდის მათ ჩართულობას როგორც არჩევნებში, ისე, ზოგადად, პოლიტიკურ პროცესებში. ამის საკმაოდ დიდი გამოცდილება არსებობს დასავლეთის წარმატებულ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური პარტიები არა მხოლოდ წინასაარჩევნოდ, არამედ მუდმივად სთავაზობენ საზოგადოებას თავიანთ შეხედულებებსა და იდეებს როგორც მიმდინარე მოვლენებზე, ისე ცალკეული პოლიტიკის შემუშავებაზე. ახალგაზრდული საკითხები და ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის საინტერესო თემები მნიშვნელოვნად არის გამოკვეთილი პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგსა თუ საარჩევნო დაპირებებში. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ დიდი ბრიტანეთი, სადაც ოთხი ყველაზე დიდი პოლიტიკური პარტიის დღის წესრიგი პერმანენტულად მოიცავს ახალგაზრდებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებს.

გარდა მხოლოდ საარჩევნო ახალგაზრდული დაპირებებისა, ასევე მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რამდენად არიან წარმოდგენილი ახალგაზრდები პოლიტიკურ პარტიებში. პოლიტიკური პარტიისათვის ახალგაზრდული პოლიტიკის ქონა თავის თავში მოიაზრებს ასევე ახალგაზრდებისა და, ზოგადად, ახალი სახეების გაძლიერებას პარტიის შიგნით. აღნიშნულის მიღწევის მრავალი სახე არსებობს, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული ფორმა პოლიტიკურ პარტიაში ახალგაზრდული ორგანიზაციის, ფრთის, არსებობაა. ამის კარგი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც, ორ წამყვან პოლიტიკურ პარტიას აქვს საკმაოდ ძლიერი ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებიც არანაკლები სიცხარით ოპონირებენ ერთმანეთს როგორც საარჩევნო, ისე არასაარჩევნო პერიოდებში. ნიდერლანდის პოლიტიკურ სისტემაში კი თითქმის ყველა პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს პარტიის ახალგაზრდულ პოლიტიკას და ასევე მთავარი პლატფორმაა პარტიისათვის ახალი სახეების მოსაზიდად. ასეთი ორგანიზაციების უმეტესობას აქვს თავისი დღის წესრიგი და წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტი პარტიის მხრიდან, რომლითაც ისინი ოპერირებენ.

რა მდგომარეობაა ამ კუთხით საქართველოში: 2021 წელს ევროპულ-ქართულმა ინსტიტუტმა ჩაატარა პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების ეფექტურობის კვლევა, რომლის ფარგლებშიც შეისწავლეს 9 აქტიური პოლიტიკური პარტიის მაგალითი, რომლებსაც ყველაზე კარგი შედეგები ჰქონდათ 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. პოლიტიკური პარტიების ეფექტურობის შესაფასებლად შეირჩა სხვადასხვა ტიპის აქტივობებისა და მნიშვნელოვანი საკითხების შეფასება, რომელზე დაკვირვებითაც შესაძლებელია მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია და აღწევს თუ არა ის თავის მიზნებს. სამწუხაროდ, პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების ნახევარს არ გააჩნია

ჩამოყალიბებული სტრუქტურა და მხოლოდ ერთი პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია არის ოფიციალურად სტრუქტურირებული. შესამჩნევია ასევე მათი პასიურობა რეგიონებში. მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტიის გარდა, არცერთ სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციას არ ჰყავს წარმომადგენლები რეგიონებში, რაც თავისთავად რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ნაკლებ ჩართულობას ნიშნავს პარტიულ და პოლიტიკურ პროცესებში (გამთენაძე, ჩხეიძე, 2021). ნიშანდობლივია ის საკითხიც, რომ პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციები არც სოციალურ ქსელებში აქტიურობით გამოირჩევიან, რაც, წესით, მათთვის საკმაოდ დამახასიათებელი უნდა იყოს, მათი მიზნებიდან და მათი სამიზნე აუდიტორიასთან მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც შემდეგი ორი საკითხია: ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრმა ფინანსებზე და მათი ჩართულობის ხარისხი პარტიის შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კვლევის თანახმად, გამოკითხული არცერთი პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციას არ გააჩნია საკუთარი ყოველწლიური ბიუჯეტი და მათი უმრავლესობა მხოლოდ პროექტებისა და ინიციატივებისათვის იღებს პარტიიდან გარკვეულ დაფინანსებას. სამწუხაროდ, ეს ფაქტი სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ პარტიები სათანადოდ არ ამახვილებენ ყურადღებას ახალგაზრდულ პოლიტიკასა და, ზოგადად, ახალგაზრდების მოზიდვაზე თავიანთ ორგანიზაციებში. თუ ახალგაზრდულ ორგანიზაციას შესაბამისი ბიუჯეტი და წინასწარ განვრეილი წლიური სამოქმედო გეგმა არ აქვს, ის ვერ შეძლებს სათანადოდ დააინტერესოს სხვა თანატოლები თავისი პარტიით მხარდაჭერისა თუ უფრო აქტიური ჩართულობის დონეზე.

მეორე და ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხია პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კვლევის ფარგლებში გამოკითხული პარტიებიდან მხოლოდ 2 ახალგაზრდულ ორგანიზაციას აქვს ფორმალურ დონეზე პარტიის პოლიტსაბჭოზე საკუთარი აზრის ხმის მიცემით დაფიქსირების საშუალება (გამთენაძე, ჩხეიძე, 2021). როგორ უნდა გავიგოთ ეს საკითხი? ერთი მხრივ, პარტიებს აჰყავთ ახალგაზრდა წევრები, თუმცა მათ, სამწუხაროდ, თითქმის არ აქვთ არანაირი გავლენა პარტიის შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ეს პირდაპირ მიუთითებს შიდაპარტიულ დემოკრატიის კრიზისზე ზოგადად ქვეყანაში. ამ უკანასკნელის დასადასტურებლად შეგვიძლია წავიკითხოთ ჭავჭავაძის ცენტრის კვლევა საქართველოში შიდაპარტიულ დემოკრატიასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, პარტიების წევრთა 60 % თვლის, რომ საერთოდ არაა ჩართული ან ნაკლებადაა ჩართული შიდაპარტიული მართვის პროცესებში, მაგ.: საარჩევნო სიის ფორმირება, მმართველი ორგანოების არჩევა და მათი არჩევის წესის დადგენა, ფინანსური გამჭვირვალობა და სხვ. საინტერესოა სწორედ ის, რომ რესპონდენტების მხრიდან ჩართულობის მოთხოვნა გულისხმობს

არა პარტიული, რუტინული დავალებების შესრულებაში მონაწილეობას, არამედ შიდა კონკურენციის გაძლიერებას და გადანაცვებების მიღების პროცესში ჩართულობას (ხარებავა, ჯოხაძე, ჯაფარიძე, კალანდაძე, 2022). ნიშანდობლივია სწორედ ბოლო საკითხი, რადგან ევროპულ-ქართული ინსტიტუტის კვლევა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში არსებული პარტიების ახალგაზრდა წევრები უმეტესად აქტიურად ერთვებიან პარტიის საქმიანობაში მხოლოდ წინა საარჩევნო პერიოდში. მათი საქმიანობა კი ტრადიციულად, უმეტესად, შემოიფარგლება პოლიტიკური აგიტაციით, ამომრჩეველთა მობილიზაციით და სარეკლამო მასალების გაკვრა-დარიგებით. შესაბამისად, ასეთი სახით ახალგაზრდების ჩართულობა, თუნდაც საარჩევნო კამპანიაში, ვერ მოახდენს დადებით ეფექტს ახალგაზრდა ამომრჩევლის მობილიზებისა და პარტიებში ახალგაზრდა წევრების მოზიდვის კუთხით. ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც მომავალში შესაძლებელია, რომ ხელი შეუწყოს ახალგაზრდებისა და, ზოგადად, ახალგაზრდული პოლიტიკის გაძლიერებას ქვეყანაში, არის პარტიების დაფინანსების სისტემის შეცვლა (ჩიხლაძე, კახიძე, 2021). დღევანდელი საკანონმდებლო ჩარჩო პარტიების დაფინანსებისა არ ავალდებულებს მათ, გამოყოფილი ბიუჯეტი გადაანაწილონ სხვადასხვა საკითხზე და მიმართონ პარტიის შიგნით თუ ამომრჩეველში სხვადასხვა ინტერესჯგუფის გასაზრდელად. შესაძლებელია, შეიქმნას მოდელი, რომელიც თითოეული სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პარტიებს გარკვეულ ვალდებულებებს დააკისრებს, გააძლიერონ თავიანთ პარტიებში სხვადასხვა ინტერესჯგუფი და პარტიის ფინანსები ხელმისაწვდომი გახადონ მათთვის.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკურ პარტიებს აქვთ ძლიერი ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული როგორც შიდაპარტიულ სტრუქტურებში, ისე, ზოგადად, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნიდერლანდის მაგალითი ამ კუთხით ჩვენთვის ძალიან საინტერესოა. ქვეყანაში ტრადიციული პარტიები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერებას. ორგანიზაციებს აქვთ საკუთარი ყოველწლიური ბიუჯეტი წლის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად და ორგანიზაციის გასაძლიერებლად, ასევე აქვთ ჩამოყალიბებული შიდაპარტიული დემოკრატიული სტრუქტურა, რომელიც აქარწყლებს ბუნდოვანებას, თუ როგორ შეიძლება მიაღწიოს წარმატებას პარტიის ახალმა წევრმა, როგორც ახალგაზრდული ორგანიზაციის ფარგლებს შიგნით, ასევე, ზოგადად, პარტიაში. შედეგად, მხოლოდ ხალხის პარტიას თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის დეპუტატიდან 8 ახალგაზრდა წარმომადგენელი ჰყავს ნიდერლანდის პარლამენტში (www.houseofrepresentatives.nl, n.d.). ეს კი პარტიის შიგნით გამართული შიდა დემოკრატიული პროცესების, გამჭვირვალე ფინანსებისა და ძლიერი ახალგაზრდული ორგანიზაციის დამსახურებაა.

ზოგადი განათლება

ახალგაზრდა ადრეული ასაკიდანვე რომ მეტად დამოუკიდებელი იყოს და ასევე შეეძლოს ამ დამოუკიდებლობის ხარისხის გამოყენება გადანაცვებების მიღების პროცესში, მნიშვნელოვანია, რომ მას ამისათვის სათანადო გარემო შევუქმნათ. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემებში ამ კითხვის სისტემატიზებისთვის მრავალ სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი ასპექტი ეროვნულ-სასწავლო გეგმაში სამოქალაქო განათლების საკითხების მაქსიმალური ინტეგრირებაა. სამოქალაქო განათლება, როგორც მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი ზოგადი განათლების, საქართველოში ფეხს მხოლოდ 2009 წლიდან იკიდებს. ამ თარიღამდე თითქმის არ არსებობდა სასკოლო საგანი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები შეიმეცნებდნენ სამოქალაქო უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების შესახებ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ 2009 წლიდან გახდა შესაძლებელი, მოსწავლეებში ინსტიტუციურ დონეზე დანყებულიყო დემოკრატიული განათლების ყველაზე საბაზისო ნაწილის ცოდნის მიწოდება. თუმცა გადანაცვებება სულაც არ ნიშნავს მის სრულფასოვნად აღსრულებას მოკლევადიან პერსპექტივაში. ბოლო 12 წელია, სამოქალაქო განათლება, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი, ცდილობს, დამკვიდრდეს სკოლებში. ამ გზაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა არსებობს. ვინაიდან საწყის ეტაპზე არ არსებობდნენ სამოქალაქო განათლების პროფესიონალი მასწავლებლები, საგნის სწავლების სპეციფიკაში გადამზადებასა და ახალი მასწავლებლების მოძიების პროცესი დღემდე არ დამთავრებულა და სისტემა კიდევ განიცდის კადრების ნაკლებობას, განსაკუთრებით სოფლის სკოლებში. აღნიშნული ფაქტი ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო განათლების საგნები და კომპეტენციები კი არის გაწერილი ზედმინევით ეროვნულ სასწავლო გეგმაში, თუმცა ამ ცოდნებისა და უნარების მოსწავლეებამდე მიტანი მასწავლებლების ნაკლებობა მიზნის სრულად მიღწევას ხელს უშლის. ეს მაშინ, როდესაც ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი მხოლოდ საბაზისოდ მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქის აღზრდისათვის, რომელიც ჩაერთვება პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში.

აღნიშნული პრობლემის შემდეგ მოდის მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მოსწავლეთა გადანაცვებების მიღების პროცესში ჩართულობას გულისხმობს. იმისათვის, რომ მოქალაქეების უმრავლესობა აქტიური იყოს როგორც საზოგადოებრივ, ისე პოლიტიკურ საკითხებში და მონაწილეობდეს მათში, მნიშვნელოვანია, მათ ამის გამოცდილება ჰქონდეთ და შედეგსაც სახეზე ხედავდნენ. თუ ახალგაზრდებს არ აქვთ შესაბამისი გამოცდილება გადანაცვებების მიღების, დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობის, მას ვერ მოვთხოვთ შემდგომში არჩევნებში გააზრებული მონაწილეობის მიღებას. ისმის კითხვა, თუ როგორ შეიძლება, ახალგაზრდები

ადრეული ასაკიდანვე შეეჩვიონ გადაწყვეტილების მიღებას და დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობას. ამ საკითხის შესაბამისად წარმართვა არა მხოლოდ კეთილი ნების გამოხატულებაა, არამედ ბავშვთა უფლებების კონვენციით გაწვდილი ნებისმიერი თვრამეტ წლამდე მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კონვენციის მე-12 მუხლი გვუბნება, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლება, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, განსაკუთრებით კი ისეთ საკითხებზე, რომლებიც მას ეხება. კონვენციის მე-13 მუხლი კი ბავშვის აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას იცავს. ამ უფლებების რეალიზების ყველაზე კარგი საშუალება არის სასკოლო მოსწავლეთა თვითმმართველობები, რომლებიც თავისი არსით სწორედ იმისთვისაა შექმნილი, რომ მოსწავლეები ჩართოს სასკოლო ცხოვრებაში და მისცეს მათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ მათთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მოსწავლეთა თვითმმართველობის არსებობა უზრუნველყოფილია საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ, რომლის მე-11 მუხლში ვკითხულობთ, რომ მოსწავლეებს უფლება აქვთ, სხვა დაინტერესებული პირების მსგავსად, მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში. ამ და სხვა კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში უნდა ფუნქციონირებს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც სასკოლო ცხოვრების ორგანიზებასა და განსაზღვრაში იქნება აქტიურად ჩართული. იმისათვის, რომ შევაფასოთ მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის ხარისხი, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, მოსწავლეთა რა სახის ჩართულობა შეიძლება ჩავთვალოთ ეფექტურად. მოსწავლეთა სახელმძღვანელო „მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში“ გვთავაზობს მონაწილეობის ხარისხის განმსაზღვრელ კიბებს, რომლის მიხედვითაც მოსწავლეთა თვითმმართველობაში მონაწილეობის მაღალი სტანდარტისათვის აუცილებელია, მოსწავლეებს შეეძლოთ მათ მიერ ინიცირებული ღონისძიებების განხორციელება და მართვა; ასევე შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა და თავიანთი აზრის გამოხატვა (გოგლიჩიძე, არგანაშვილი, ბიბილეიშვილი, 2015). მაგალითად, მოსწავლეთა თვითმმართველობას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, მონაწილეობა მიიღოს სკოლის შიდა განაწესის ფორმირებაში, ასევე შეეძლოს, ჩართული იყოს სკოლისათვის მასწავლებლების შერჩევისა და გასაუბრების პროცესში. სამწუხაროდ, არ არსებობს არცერთი კვლევა, რომელიც მოგვცემდა სრულ სურათს, თუ რამდენად სრულდება საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ რეალობაში და კონკრეტულად რა უშლის ხელს მის განხორციელებას.

სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ფორუმის ხელმძღვანელ მაკა ბიბილეიშვილთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ამ კუთხით ჯერ კიდევ

ბევრი გამოწვევაა და სკოლების დიდი ნაწილი ზუსტად ვერ იაზრებს განსხვავებას სასკოლო თვითმმართველობის მიზნებსა და სასკოლო კლუბის ფუნქციებს შორის. როგორც ჩანს, სკოლების დიდ ნაწილში მოსწავლეთა თვითმმართველობები ფუნქციონირებს, მაგრამ მათი საქმიანობა მეტად ორიენტირებულია გარკვეული სასკოლო ექსტრაკურსულარული აქტივობების განხორციელებაზე, ვიდრე სკოლაში გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართვაზე. ასეთი სახის თვითმმართველობა ვერ უზრუნველყოფს მთავარი მიზნის მიღწევას, ბავშვები ჩართოს მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში და, შესაბამისად, მისცეს მათ დემოკრატიულ პროცესებში ჩართვის გამოცდილება. ასეთი გამოცდილების ნაკლებობა კი მომავალში შესაძლებელია, სხვა სამოქალაქო თუ დემოკრატიული პროცესებისადმი გაუცხოებაშიც გადაიზარდოს.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მომავალში გასაგებად დავინახოთ აღნიშნული პრობლემა და გამოვასწოროთ იგი, ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხია. სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ფორუმის ხელმძღვანელთან საუბრის შემდეგ გაირკვა, რომ USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა მეორე ვადით შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში შეცდება, სხვადასხვა აქტივობით, რომელშიც განათლების სამინისტროც იქნება ჩართული, ადვოკატირება გაუწიოს მოსწავლეთა სასკოლო თვითმმართველობებისა და, ზოგადად, სკოლების დემოკრატიზაციის საკითხს. ამ კუთხით იგეგმება სამუშაო შეხვედრები და აქტივობები საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობებთან და სკოლის ადმინისტრაციებთან. აღნიშნული პროგრამის ეფექტურობა წინა ხუთი წლის განმავლობაში იმედს გვაძლევს, რომ დასახული მიზნები მიიღწევა და მოსწავლეთა სასკოლო თვითმმართველობები უფრო გაძლიერდება საქართველოში. ამ კუთხით აუცილებელია, ასევე, გავითვალისწინოთ საერთაშორისო გამოცდილება და დავაკვირდეთ, თუ რა ეფექტი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობების გამართულ მუშაობას ახალგაზრდების ჩართულობაზე პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში.

1760 წელს შეიქმნა პირველი სკოლა შვეიცარიის ქალაქ ჰალდენშტაინში, სადაც პირველად ჩამოაყალიბეს მოსწავლეთა თვითმმართველობა სწორედ იმ მიზნით, რომ ბავშვებისათვის მიეცათ შესაძლებლობა, ადრეული ასაკიდანვე ჰქონოდათ დემოკრატიული პროცესებში ჩართვის გამოცდილება (Good, 1945). მსოფლიოსა და დასავლეთის მრავალ ქვეყანაში მოსწავლეთა თვითმმართველობები დღემდე ითვლება სკოლების დემოკრატიზაციისა და ბავშვების სამოქალაქო პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის მნიშვნელოვან და ეფექტურ ინსტიტუტად. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსწავლეთა თვითმმართველობები ფედერალური კანონით რეგულირებული და უზრუნველყოფილი საკითხია. შესაბამისად, ყველა სკოლას ჰყავს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც საკმაოდ აქტიურია. ეს პრაქტიკა ამერიკის

შეერთებულ შტატებში ერთ საუკუნეზე მეტს ითვლის. ამ პერიოდის განმავლობაში ხშირად ყოფილა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობები გამხდარან სხვადასხვა სახის პოლიტიკური პროცესისა და გადაწყვეტილების მოთავე. ამერიკელი პოლიტიკოსებისა და სამოქალაქო აქტივისტების დიდმა ნაწილმა სწორედ მოსწავლეთა თვითმმართველობებიდან დაიწყო პოლიტიკასა და სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვა.

ფინური საგანმანათლებლო სისტემა თავისი საერთაშორისო შედეგებითა და მიღწევებით მსოფლიოში დღემდე ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე სისტემად ითვლება. ფინური სკოლის პოლიტიკა უმეტესად დაფუძნებულია დეცენტრალიზაციასა და დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურ ჩართულობაზე სასკოლო ცხოვრებაში. დეცენტრალიზაციის ნაწილში ადგილობრივი მოსახლეობა და თვითმმართველობა აქტიურად განსაზღვრვენ ზოგადად სკოლის პოლიტიკასა და მის სასწავლო გეგმას, რომლის ფორმირებაში ასევე აქტიურად არიან ჩართულები სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობები. თვითმმართველობაში მოსწავლეები 1 წლის ვადით ირჩევიან და არჩევნებში მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა ასაკიდან არის შესაძლებელი (Ministry of education and culture, 2020). ფინური სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობები მნიშვნელოვნად არიან ჩართულები სკოლის შიდა განაწესისა და ეთიკის ნორმების შექმნასა და შესწორებაში. ასევე მონაწილეობას იღებენ დისციპლინური საკითხების გადაწყვეტაში და, რაც მთავარია, მათ აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ და განსაზღვრონ საკუთარი სკოლისა და კლასების სასწავლო კურიკულუმები, მათ შორის დამატებითი და არჩევითი საგნების ჩამონათვალი.

გარდა უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პრაქტიკებისა, დასავლეთის ქვეყნების უმეტესობაში არსებობს სხვადასხვა სახის პროექტები და მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც სკოლის მოსწავლეები და ახალგაზრდები ჩართუნი არიან ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. განსაკუთრებით კი ახალგაზრდული და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტაში. ამ კუთხით საქართველოს მრავალ მუნიციპალიტეტში არსებობს ახალგაზრდული საკრებულოების პროექტი, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეები ეცნობიან ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პრინციპებს და ნაწილობრივ ერთვებიან სხვადასხვა საკითხის განხილვაში. თუმცა ამ კუთხითაც არის შესაძლებელი პრაქტიკის გაუმჯობესება. მსგავს აქტივობათა უმეტესობაში სკოლები წინასწარ არჩევენ მონაწილე აქტიურ მოსწავლეებს. უმჯობესი იქნებოდა, თუ ამონაწილეები ან დემოკრატიული პროცესის საფუძველზე შეირჩეოდნენ, ან რაიმე წინასწარი კონკურსის საფუძველზე. მოსწავლეთა შორის დემოკრატიული პრინციპების გაძლიერებას ასევე ხელს კიდევ უფრო შეუწყობდა აღნიშნული პრაქტიკის ნაწილში მოსწავლეთა

გადაწყვეტილებებისა და რჩევების გავლენის ზრდა რეალურ საკრებულოზე, მაგალითად, მოსწავლეების ჩართულობის ზრდა მუნიციპალიტეტების ახალგაზრდული ბიუჯეტის დაგეგმარების დროს. მსგავსი გამოცდილება უკვე არსებობს საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტში და კარგი იქნებოდა, თუ დანარჩენებიც გაიზიარებდნენ ამ გამოცდილებას.

დასკვნა

იმისათვის, რომ მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს პოლიტიკურ პროცესებში და მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, აუცილებელია, სახელმწიფომ და სხვა ინსტიტუტებმა გადადგან ნაბიჯები და გააუმჯობესონ არსებული ვითარება ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდების სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართვის კუთხით. როგორც ვხედავთ, დღეს ვერც პოლიტიკური აქტორები და ვერც განათლების სისტემა ვერ ახერხებენ ჯეროვნად არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას. იმისათვის, რომ ახალგაზრდები ჩაერთონ აქტიურად სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, პირველ რიგში, განათლების სისტემა მეტად დემოკრატიული უნდა გახდეს. ამაში არ იგულისხმება მხოლოდ სამოქალაქო განათლება და მისი კურიკულუმი, არამედ – რეალური დემოკრატიული პროცესი სკოლებში, რომელშიც გავლენისა და აზრის მკაფიოდ გამოხატვის საშუალებაც ექნებათ მოსწავლეებს. დღეს ეს შესაძლებლობები ან დახშულია, ან საკმაოდ ბუნდოვანი ახალგაზრდებისათვის, შესაბამისად, აუცილებელია ამ საკითხზე მუშაობა და მისი გაუმჯობესება, რათა სკოლის ასაკიდანვე შეიძინონ ბავშვებმა ის დემოკრატიული უნარები, რომლებიც მათ მომავალში სამოქალაქო და პოლიტიკურ დონეზე გააზრებული გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებათ, რაც მთავარია, მათთვის გასაგებს გახდის, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნებში მონაწილეობა და აღნიშნული სამოქალაქო შესაძლებლობის გამოყენება.

გარდა ცოდნისა და უნარებისა, რომლებიც ახალგაზრდებმა სკოლის ასაკიდანვე უნდა მიიღონ, აუცილებელია, ქვეყანაში არსებობდეს პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც ჩამოყალიბებული ექნებათ როგორც ახალგაზრდული პოლიტიკა, ასევე ახალგაზრდული ორგანიზაციები, რათა ახალგაზრდა ამომრჩევლისთვის გასაგები და სასურველი იყოს არჩევნებსა თუ სხვა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა. სამწუხაროდ, დღესდღეობით პოლიტიკური ველი და მასში არსებული პარტიების უმეტესობა ვერ სთავაზობენ ახალგაზრდებს ვერცერთ ზემოთ ჩამოთვლილს. პარტიები მომავალში აუცილებლად უნდა შეეცადონ, რომ გააძლიერონ ახალგაზრდული ორგანიზაციები, როგორც სტრუქტურულად ისე ფინანსურად, რათა მათ შესაბამისად მუშაობის საშუალება ჰქონდეთ. რაც მთავარია, თითოეულ მათგანში უნდა გაძლიერდეს შიდადემოკრატიული პროცესები, რომლებშიც ჩართულნი იქნებიან ახალგაზრდები. ეს უკანასკნელი აუცილებელია

იმისთვის, რომ თითოეული დაინტერესებული ახალგაზრდისთვის გასაგები და მიმზიდველი იყოს პარტიულ საქმიანობაში ჩართვა. პოლიტიკურ პარტიებში უფრო მეტად წარმოდგენილი

ახალგაზრდები კი თავისთავად გააძლიერებენ ახალგაზრდულ პოლიტიკასაც და შეძლებენ არჩევნებში მეტი თანატოლის ჩართვას.

ლიტერატურა

- » crrc.ge. (2018). Retrieved from, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი.
- » Good, H. G. (1945), Early Examples of Student Self-Government. Educational Research Bulletin, 113-118.
- » Ministry of education and culture. (2020). Retrieved from okm.fi.
- » partiebi.ge. (2012). Retrieved from ამომრჩევლების ვებგვერდი.
- » www.houseofrepresentatives.nl. (n.d.). Retrieved from House of Representatives.
- » გამთენაძე ზ., ჩხეიძე შ. (2021), საქართველოს პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების ანალიზი, თბილისი, ევროპულ-ქართული ინსტიტუტი .
- » გოგლიჩიძე ა., არგანაშვილი ა., ბიბილეიშვილი მ. (2015), მონაწილეობა სკოლის თვითმართვალობაში , თბილისი.
- » გრაუმანი ს., ყიფიანი ლ. (2014), ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში, თბილისი, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა.
- » ჩიხლაძე გ., კახიძე თ. (2021), პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2020 წელს, თბილისი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო .
- » ხარებავა გ., ჯოხაძე გ., ჯაფარიძე გ., კალანდაძე ნ. (2022), შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის მიზეზები საქართველოში, თბილისი, ჭავჭავაძის ცენტრი.

ამომრჩევლის რუბრიკა

ჟურნალი „არჩევნები და დემოკრატია“ ერთგვარი პლატფორმაა, სადაც არჩევნებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები განიხილება. გამოცემისთვის ღირებულია საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეების პოზიციათა წარმოჩენა, საქართველოში საარჩევნო გარემოში არსებული მიღწევებისა და გამოწვევების განხილვა. ჟურნალში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. ყოველ გამოცემაში არის რუბრიკა „ამომრჩევლის გვერდი“, სადაც ამომრჩეველს საშუალება აქვს, ისაუბროს არჩევნებთან დაკავშირებულ მისთვის აქტუალურ საკითხებზე.

ამჯერად რუბრიკა „ამომრჩევლის გვერდის“ სტუმარია ამომრჩეველი დალი ვარშანიძე-კაკაბაძე



» ქალბატონო დალი, პირველ რიგში, საინტერესოა თქვენი მოსაზრება არჩევნების, როგორც დემოკრატიის უშუალო ფორმის, შესახებ. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მოვლენა ქვეყნისა და საზოგადოებისთვის?

ფიქრობ, არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, ის დემოკრატიული განვითარების პროცესის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. არჩევნებით განისაზღვრება საზოგადოებისა და მთლიანად ქვეყნის მომავალი. ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ, თითოეულ მოქალაქეს, გვაქვს საშუალება, ჩავერთოთ ქვეყნის მართვაში.

» რამდენად აქტიური მოქალაქე ხართ, ყოველთვის მონაწილეობთ არჩევნებში?

დიახ, ყოველთვის ვმონაწილეობ არჩევნებში, ვარ აქტიური ამომრჩეველი. ვთვლი, რომ ეს ჩვენი მოქალაქეობრივი ვალაია და აუცილებლად უნდა შევასრულოთ. თუ განსაკუთრებული რამ არ ხდება, ყოველთვის მივდივარ საარჩევნო უბანზე და ვაფიქსირებ ჩემს აზრს.

» რით იყო გამორჩეული 2022 წლის 2 აპრილს გამართული საკრებულოს შუალედური არჩევნები N79 ოლქში?

2022 წლის 2 აპრილს ამომრჩევლებმა აირჩიეს ბათუმის საკრებულოს მაჟორიტარი №79.04 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. ეს არჩევნები მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ არჩევნები ჩატარდა ელექტრონულად. პირველად მომინია არჩევნებში მონაწილეობა, სადაც ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მივეცი ხმა. საკმაოდ საინტერესო პროცესი იყო.

» როგორც ვიცით, თქვენ ხმა მიეცით საარჩევნო უბანზე, სადაც საქართველოს საარჩევნო ისტორიაში პირველად იქნა გამოყენებული ამომრჩეველთა ელექტრონული ვერიფიკაციის აპარატი. გთხოვთ, მოგვიყვით აღნიშნული პროცედურის შესახებ.

როგორც უკვე აღნიშნეთ, 2022 წლის 2 აპრილის შუალედურ არჩევნებზე ტექნოლოგიური ინოვაციები იქნა გამოყენებული. ერთ-ერთი იყო ვერიფიკაციის აპარატი, რომლის საშუალებით რეგისტრატორი ახდენდა ამომრჩევლის ვერიფიკაციას. პროცესი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა, რაც მისასალმებელი იყო.

» სიახლე იყო ასევე ხმის მიცემისა და დათვლის ელექტრონული აპარატის გამოყენება. იყო თუ არა პროცედურული სირთულეები?

სიახლე ძალიან კარგი იყო, არანაირი სირთულე არ ყოფილა არც ხმის მიცემის და არც ხმების დათვლის დროს. ელექტრონულად ხმის მიცემა ძალიან გაუადვილდათ ამომრჩევლებსაც და კომისიის წევრებსაც.

» როგორ მართავდა საარჩევნო ადმინისტრაცია ახალ ტექნოლოგიებს

საარჩევნო უბანზე?

საარჩევნო ადმინისტრაციას ძალიან გაუადვილდა ახალ ტექნიკასთან მუშაობა და ყველაფერმა კარგად ჩაიარა, დაბრკოლების გარეშე. მე როცა უბანზე ვიმყოფებოდი, საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა მშვიდად და შეუფერხებლად.

» ზოგადად, როგორ შეაფასებთ 2022 წლის 2 აპრილის შუალედურ არჩევნებს? ისურვებდით თუ არა, დამკვიდრდეს საქართველოში ელექტრონული არჩევნები?

აღნიშნულ არჩევნებს დადებითად ვაფასებ. იყო სიახლე და საფრთხეც, რომ არჩევნების ელექტრონულად ჩატარების დროს რაიმე ტექნიკური ხარვეზი შეაფერხებდა პროცესს, თუმცა ასე არ მოხდა. ელექტრონული აპარატები იყო კარგად გამართული და, ასევე, უბანზე არჩევნების ადმინისტრირება იყო კარგი. კენჭისყრის პროცედურა ხარვეზების გარეშე ჩატარდა.

ვფიქრობ, ასეთი არჩევნები კარგია, გაადვილებული პროცესია. ასევე მნიშვნელოვანია ხმის დათვლისას დროში დაჩქარებული წინასწარი შედეგების გამოცხადება. როგორც ვიცით, უბნის დახურვიდან ძალიან მალე აპარატის დახმარებით ჯამდება და იბეჭდება წინასწარი მონაცემები.

2021 წელს უმაღლესი საარჩევნო კომისიისა და ევროპის საბჭოს პროექტის – საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში – თანამშრომლობის შედეგად ჩატარდა ესეების კონკურსი „ჩემი ხმა დემოკრატიაში“. ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი თემები ეხებოდა არჩევნების მნიშვნელობას დემოკრატიულ პროცესებში, ახალგაზრდების როლს საარჩევნო პროცესებში, აქტიურ ახალგაზრდა ამომრჩევლებსა და მათ გავლენას ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე, ერთი ხმის მნიშვნელობას და სხვ.

კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ 18-25 წლამდე პირებს. სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ მიღებული ნამუშევრების შეფასების შედეგად გამოვლინდა სამი საუკეთესო ავტორი, რომელთა ესეებსაც წინამდებარე გამოცემაში წარმოგიდგენთ.

ჩემი ხმა დემოკრატიაში

| კლგოლი



ლუილა ჩხატიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების IV კურსის სტუდენტი

ფრენსის ფუკუიამას ნაშრომის – „ისტორიის და-სასრულის“ – მიხედვით, ცივი ომის დასრულებისა და დემოკრატიის მეოთხე ტალღის შემდეგ ცივილიზებული სამყარო ერთხმად შეთანხმდა დემოკრატიული მმართველობის უპირატესობასა და უალტერნატივობაზე. არჩევნები კი დემოკრატიისათვის აუცილებელი კომპონენტია. ზოგი მკვლევარი, მაგალითად იოზეფ შუმპეტერი, დემოკრატია და კონკურენტულ არჩევნებს ერთმანეთთანაც კი აიგივებდა.

არჩევნები მოსახლეობის გარკვეული ნაწილის – ამომრჩევლის – გადაწყვეტილების თანახმად, არჩევითი თანამდებობების დაკავების საშუალებაა.¹ მარტივად თუ ვიტყვით, არჩევნების პროცესი იგივე დემოკრატიაა მოქმედებაში. მისი მეშვეობით საზოგადოება საკუთარ უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას გადააბარებს მისთვის სასურველ წარმომადგენელს და ამით მონაწილეობს ხელისუფლების ფორმირებაში და აკონტროლებს მას.² სწორედ არჩევნების მეშვეობით შეაქვთ საზოგადოების წევრებს თავიანთი წვლილი პოლიტიკის ფორმირებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმეტესობაში არჩევნებში მონაწილეობა აღარ იზღუდება სქესის, ეროვნების, ქონებრივი ცენზისა თუ სხვა მახასიათებლის მიხედვით. შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, ვინაიდან ხელისუფლების ფორმირებაში საზოგადოების ყველა წევრის ნება-სურვილი უნდა იყოს გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, ხშირია საზოგადოებაში აბსენტიზმი, რაც გულისხმობს ინდივიდის გულგრილ დამოკიდებულებას პოლიტიკური პროცესებისადმი და უარს არჩევნებში მონაწილეობაზე.³

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ახალგაზრდების საკმაოდ დიდი რაოდენობა მონაწილეობს არჩევნებში და დაინტერესებულია პოლიტიკური პროცესებით, თუმცა, ამავე დროს, ამ ასაკობრივი ჯგუფის საკმაოდ სოლიდური ნაწილი არ იღებს მონაწილეობას აღნიშნულ პროცესში. კავკასიის ბარომეტრის, 2019 წლის მონაცემების მიხედვით, 18-35 წლის ასაკობრივი ჯგუფის 35% არ იღებდა მონაწილეობას არჩევნებში, ხოლო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ამ ასაკობრივი ჯგუფის 38%-ს არ მიუღია მონაწილეობა, მეორე ტურში კი 4%-ით გაიზარდა ინდიფერენტულთა რიცხვი.⁴ ახალგაზრდების ნაკლებ ჩართულობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. წინამდებარე ესეში მსურს გამოვყო რამდენიმე მათგანი.

პირველ რიგში, ახალგაზრდების ერთ ნაწილს არ აქვს გააზრებული საკუთარი სამოქალაქო ვალდებულებები და არ ესმის პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის აუცილებლობა. 2013 წლის კვლევის მიხედვით, ქართველი ახალგაზრდების 15-29 ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ 11,6% იყო ინფორმირებული საკუთარ სამოქალაქო უფლებებსა

1 ე. ჰიუგო, პოლიტიკა, მესამე გამოცემა, საქართველოს მაცნე, თბ., 2004.

2 იქვე.

3 სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი, რედ. ე. კოდუა და სხვ., თბ., 2004, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=2673>

4 თ. ტურაშვილი, საარჩევნო პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და პოლიტიკური ელიტის როლი საქართველოში, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2016, <https://gip.ge/ka/publication-post/youth-participation-in-electoral-processes-and-the-role-of-political-elites/>

და არჩევნებში მონაწილეობაზე. მხოლოდ 57,5% ასახელებს არჩევნებში მონაწილეობას მოქალაქეობრივ მოვალეობად.⁵

ხშირია ახალგაზრდებში პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის თაობაზე მცდარი და სტერეოტიპული შეხედულებები. 2014 წლის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობას პოლიტიკა არა სამოქალაქო ვალდებულებად, არამედ ბინძურ საქმედ მიაჩნია.⁶ ფრანგი ფილოსოფოსი მიშელ ფუკო პოლიტიკას ჩვენი არსებობის ყველაზე მნიშვნელოვან თემას უწოდებს და მიაჩნია, რომ შეუძლებელია, არ იყო დაინტერესებული იმ საზოგადოებით, რომელშიც ცხოვრობთ და იმ ძალაუფლებათა სისტემებით, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი ქცევის დასაშვებ ფორმებს. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს სწორი და გააზრებული ინფორმაცია მივანოდოთ პოლიტიკური პროცესების მნიშვნელობის შესახებ. ისინი, თუ პოლიტიკას სტერეოტიპულად გავრცელებულ „ბინძური საქმის“ წრილში აღიქვამენ, არასოდეს დაინტერესდებიან პოლიტიკური პროცესებით, შესაბამისად, უარს იტყვიან თავიანთ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებზე, ამით კი ვერასოდეს შეძლებენ მათთვის სასურველ საზოგადოებაში ცხოვრებას.

საქართველოს დემოკრატია მძლავრი გამოწვევების წინაშეა და მძიმე პოლიტიკური ვითარება ახალგაზრდებში ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იწვევს და აფიქრებინებს მათ, რომ, მიუხედავად მათი არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელოვანი როლისა, არ შესწევთ ძალა, არსებითი ცვლილებები შეიტანონ პოლიტიკის ფორმირებაში. ამას ემატება პოლიტიკური ფენის მრავალფეროვნების დეფიციტი, ვინაიდან არსებული პოლიტიკური პარტიების პრიორიტეტები არ არის თანხვედრაში ახალგაზრდების ინტერესებთან. ამ უკანასკნელთ არ ჰყავთ მათთვის სასურველი პარტია ან კანდიდატი და ამიტომაც უარს ამბობენ არჩევნებში მონაწილეობაზე. არსებობს ტენდენცია, რომ პოლიტიკური პარტიები პროგრამის შემუშავებისას ორიენტირებულნი არიან საზოგადოების იმ ჯგუფებზე, რომლებიც ყველაზე მეტად მონაწილეობენ არჩევნებში. შესაბამისად, ისინი, ვინც ნაკლებად ინტერესდებიან აღნიშნული პროცესებით, ხშირად არ ხვდება პარტიათა პრიორიტეტებს შორის. ეს პროცესი წრიული ხასიათისაა, პოლიტიკური პარტიების გაუცხოება ახალგაზრდებთან გამომწვეულია მათი ნაკლები ჩართულობით, როდესაც ახალგაზრდების ინდიფერენტულობა უმეტესად პოლიტიკურ პარტიებთან ნაკლები იდეოლოგიური სიახლოვეთაა ნაკარნახევი.

თუმცა სწორედ არსებული პოლიტიკური ვითარების გამოსწორებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა

პოლიტიკურ პროცესებში და მონაწილეობა არჩევნებში. მათი გაზრდილი როლის გააზრების შემთხვევაში არსებული პოლიტიკური ელიტების შეცდებიან, მოარგონ თავიანთი პოლიტიკური პროგრამები ახალგაზრდების ინტერესებს, რაც დიდ წვლილს შეიტანს დემოკრატიულ წინსვლასა და ახალგაზრდების პრობლემების აქტუალობის გაზრდაში.

არ უნდა გამოგვრჩეს ასევე სოციალური პრობლემები და არათანაბარი გეოგრაფიული განვითარება. ხშირად სტუდენტები რეგიონებიდან დედაქალაქში მიდიან სასწავლებლად და ვერ ახერხებენ არჩევნების დროს საარჩევნო უბანზე მისვლას, მათი სურვილის მიუხედავად. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო დაწესებულებებმა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ასეთ ახალგაზრდებს (იქნება ეს მატერიალური თუ ლოჯისტიკური დახმარება), რათა მათ შეძლონ თავიანთი სამოქალაქო ვალდებულების აღსრულება.

გარდა ამისა, ახალგაზრდების აბსენტიზმს იწვევს მათი ნიჰილისტური და გულგრილი დამოკიდებულება აღნიშნული პროცესებისადმი, რაც ნასაზრდოებია იმ რიტორიკით, რომ „ერთი ხმა არაფერს შეცვლის“. საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა თვლის, რომ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს, ვინაიდან მისი ქმედება ვერ მოახდენს ზოგად სურათზე დიდ გავლენას. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თითოეული ადამიანი ერთი დიდი სოცუმის ნაწილია და თუ ყველა მოქალაქე მსგავსი პათოსით განწყობა, იკარგება არა ერთი, არამედ მრავალი ხმა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად არჩევნებში საკმაოდ მცირე უპირატესობასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საკმარისია გავიხსენოთ ჯორჯ ბუშისა და ალ გორის დაპირისპირება, როდესაც ბუშმა 0.009%-იანი უპირატესობით შეძლო გამარჯვების მოპოვება ფლორიდის შტატში.⁷

ახალგაზრდების ჩართულობა საარჩევნო პროცესებში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს პოლიტიკის ფორმირებაზე. ამასთან, პარტიათა და კანდიდატთა პრიორიტეტებიც მეტად მორგებული იქნება მათ საჭიროებებზე. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდების მიერ თავიანთი სამოქალაქო როლის გაცნობიერება დაეხმარება მათ, მომავალში იქცნენ პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად და პოლიტიკოსებად. რაც უფრო დიდია ახალგაზრდათა ჩართულობა არჩევნებსა და პოლიტიკურ პროცესებში, მით მოსალოდნელია სამოქალაქო პოლიტიკური კულტურის მაღალი დონე.⁸

თანამედროვე საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური ინკლუზიურობის დონე არ არის საგანგაშო. IRI-ის 2020 წლის მონაცემების

5 გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა, ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში, 2014, <https://www.unicef.org/georgia/media/1131/file>

6 თ. ტურაშვილი, საარჩევნო პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და პოლიტიკური ელიტის როლი საქართველოში, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2016, <https://gip.ge/ka/publication-post/youth-participation-in-electoral-processes-and-the-role-of-political-elites/>

7 National Geographic, Why Voting Is Important, 2020, <https://education.nationalgeographic.org/resource/why-voting-important>

8 თ. ტურაშვილი, საარჩევნო პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და პოლიტიკური ელიტის როლი საქართველოში, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2016, <https://gip.ge/ka/publication-post/youth-participation-in-electoral-processes-and-the-role-of-political-elites/>

მიხედვით, 18-35 წლის ასაკობრივი კატეგორიის 68% მოისურვებდა არჩევნებში წასვლას. ეს ტენდენცია დადებითად შეიძლება შეფასდეს წინა წლებთან შედარებით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევის მიხედვით, სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით, ახალგაზრდების ჩართულობა ყველაზე ნაკლებია.⁹ სწორედ ამიტომ აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები საზოგადოებასა და პოლიტიკურ ელიტაში. მნიშვნელოვანია, გაიზარდოს პოლიტიკურ პროცესთა და პარტიათა გახსნილობა, პოლიტიკური პლურალიზმი და სუბიექტთა მრავალფეროვნება, რითაც უფრო მეტი პარტია იქნება ახალგაზრდების ინტერესებზე მორგებული. თუმცა ვთვლი, რომ ფუნდამენტური ცვლილებები სწორედ ცნობიერების ამაღლების კუთხით უნდა გატარდეს.

ცნობილი ამერიკელი მოაზროვნე ჯონ დიუი ამტკიცებდა, რომ განათლება არა მხოლოდ ინდივიდის კეთილდღეობას უწყობს ხელს, არამედ განათლებული მოქალაქე მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას და ხელს უწყობს დემოკრატიის მშენებლობას. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ თანამედროვეობის მთავარი გამოწვევა სწორედ სამოქალაქო და პოლიტიკური განათლებისა და ცნობიერების ნაკლებობაა. ამისთვის აუცილებელია, უნივერსიტეტში, სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო

დაწესებულებებში სწორად და დასაბუთებულად მიეწოდოს ახალგაზრდებს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელისუფლების ფორმირებაში საზოგადოება უნდა იღებდეს მონაწილეობას და, შესაბამისად, თითოეული მოქალაქის ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასევე რეკომენდებულია არაფორმალური და ინტერაქციული შემეცნებითი ღონისძიებები და აქტივობები, რაც იმავე მიზანს ემსახურება. მისასალმებელია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოველწლიური სასწავლო-საინფორმაციო კურსი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, რომელიც მიზნად ისახავს, სკოლის მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლებასა და მათი სამოქალაქო ვალდებულებების გაცნობას. წინ გადადგმულ ნაბიჯად მინდა მივიჩნიო ასევე „პოლიტიკური კომპასი“, პლატფორმა, რომელიც ეხმარება ამომრჩეველს, იპოვოს მის ინტერესებთან ყველაზე ახლოს მდგომი პარტია. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილი მონაწილეობს არჩევნების პროცესში, როგორც აქტიური ამომრჩევლის ამპლუაში, ასევე დამკვირვებლის როლშიც. თუმცა აუცილებელია საზოგადოების იმ ნაწილზე ფოკუსირება, რომელიც ვერ ახერხებს ან არ სურს არჩევნებში მონაწილეობა, თუნდაც ისინი უმცირესობას წარმოადგენდნენ, ვინაიდან დემოკრატიაში – ხალხის მმართველობაში ერთ ხმასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

9 IRI Georgia. How Likely or Unlikely Are You to Vote in the 2020 Parliamentary Elections?, TBILISI, 2020.

ახალგაზრდების ჩართულობა საარჩევნო პროცესებში და საქართველოს ევროპული მომავალი



მეგლა შუშბაკაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრანტი

არჩევნებში მონაწილეობის თვალსაზრისით, საქართველოს მოქალაქეების 18-იდან 29 წლის ასაკობრივი ჯგუფი, რომელიც რეგისტრირებული ამომრჩევლების 18%-ს შეადგენს,¹ საზოგადოების სხვა ასაკობრივ სეგმენტთან შედარებით პასიურობით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების დაბალი საარჩევნო აქტიურობა არ არის ექსკლუზიურად საქართველოს პრობლემა, ახალგაზრდების ელექტორალურ პასიურობას არ განაპირობებს მაინცდამაინც საარჩევნო პროცესისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, არაინფორმირებულობა და პოლიტიკური ნიჰილიზმი. ქართველ ახალგაზრდებსა და საარჩევნო ყუთს შორის არსებობს ისეთი სტრუქტურული ბარიერები, როგორებიცაა: ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორები, შიდაპარტიული არაეფექტიანობა და საზოგადოების სტერეოტიპული სტრატეგიკაცია.

საქართველოს ევროკავშირისკენ სწრაფვამ სასიკეთო ცვლილებები გამოიწვია არა მხოლოდ პოლიტიკის, არამედ ეკონომიკისა და განათლების სფეროში, რაც შესაბამისად აისახა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე. ბოლო წლებში აქტუალური გახდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში ახალგაზრდების მონაწილეობა, თუმცა ეს ნაკლებად თვალშისაცემია, რადგან ახალგაზრდებმა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების ალტერნატიული გზა აირჩიეს. წლების განმავლობაში სახელმწიფო და პოლიტიკური ელიტა ცდილობდა ახალგაზრდების მარგინალიზებას, უგულებელყოფდნენ მათ შეხედულებებს; თუ ვინმე ინტერესს გამოხატავდა, მათ „პატარა გოგო-ბიჭებად“ მოიხსენიებდნენ, რითაც, გარკვეულწილად, აკნინებდნენ, არასერიოზულად წარმოაჩენდნენ მათ ხედვებსა და მისწრაფებებს

საზოგადოების თვალში. მათი მიზანი – დიდხანს დარჩენილიყვნენ პოლიტიკაში და არ მომხდარიყო თაობათა ცვლა, გარკვეულწილად, შესრულდა, რადგან ახალგაზრდებმა მეტწილად უარი თქვეს პოლიტიკურ ორგანიზაციებზე, თუმცა პოლიტიკის ფორმირებაში არასამთავრობო სექტორის მეშვეობით ჩაერთნენ.

დღეს ქართველი ახალგაზრდობა უფრო მეტად აქტიურია საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებში, ვიდრე ოდესმე, თუმცა, გარკვეული ბარიერების გამო, მათი აქტიურობა ვერ კონვერტირდება აქტიური საარჩევნო უფლების² განხორციელებაში. რატომ? ერთ-ერთი მიზეზი მიგრაციაა. ახალგაზრდებს განათლების მისაღებად რეგიონების დატოვება და დიდ ქალაქებში საცხოვრებლად გადასვლა უწევთ, მათთვის არჩევნების დღეს რეგიონში დაბრუნება, დროის უქონლობასთან ერთად, ფინანსურ პრობლემებსაც უკავშირდება. ახალგაზრდებს დიდ ქალაქებში არ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, შესაბამისად, ვერ ახერხებენ რეგისტრაციას, რათა არჩევნებში მონაწილეობა იქ მიიღონ, სადაც ცხოვრობენ.

დაბრკოლებას ქმნის, ასევე, ახალგაზრდების ჩართვა ადგილობრივ სადამკვირვებლო მისიებში. პირადად მე 18 წლიდან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ეგიდით ვიღებ მონაწილეობას სადამკვირვებლო მისიებში და არაერთხელ მომისმენია ჩემი თანატოლების გულწრფელი წუხილი იმის გამო, რომ სადამკვირვებლო მისიაში ყოფნა არ აძლევთ საშუალებას, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, როგორც ამომრჩევლებმა. ერთი მხრივ, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის მცირე ჰონორარიც კი, რასაც სადამკვირვებლო მისიაში ჩართვით იღებენ და, მეორე მხრივ, ისინი ფიქრობენ, რომ უფრო მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყონ საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობას და დაიცვან სხვა ამომრჩევლის ხმები. თუმცა იმასაც ძალიან კარგად იაზრებენ, რომ შესაძლოა, სწორედ მათი ერთი ხმა გახდეს გადამწყვეტი.

18-იდან 29 წლამდე ასაკობრივ სეგმენტში ასევე ერთიანდებიან ახალგაზრდები, რომლებმაც ვერ შეძლეს უმაღლესი განათლების მიღება და რეგიონებში დარჩნენ, ან მიიღეს განათლება, თუმცა დასაქმების პრობლემის გამო, რეგიონებში მოუწიათ დაბრუნება. ახალგაზრდების ეს ნაწილი

1 ცენტრალური საარჩევნო კომისია, ამომრჩეველთა სტატისტიკა ასაკის მიხედვით, ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/res/docs/2%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98.pdf>

2 საქართველოს კონსტიტუცია, 28-ე მუხლი.

პასიურობით ხასიათდება, მათ ვერ დაინახეს საკუთარი როლი საზოგადოებაში და მათი არჩევნებში არმონაწილეობა პროტესტის ერთგვარი გამოხატულებაცაა. დროთა განმავლობაში ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური პრობლემები ხელს უშლით მათ, სათანადო წვდომა ჰქონდეთ ცენტრალიზებულ პოლიტიკურ პროცესებზე, მიუხედავად იმისა, რომ ციფრულმა ტექნოლოგიებმა ეს პრობლემა გარკვეულწილად შეასუსტა.

„საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“³, რომლის მთავარი მიზანი ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა და მათთვის პოლიტიკური ძალაუფლების განაწილება უნდა ყოფილიყო, ამ სეგმენტისთვის ფარაქტინა ფურცლად დარჩა, რადგან მკაფიოდ არ გამოუკვეთავთ ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართულობის ხელშეწყობა. შედეგად, რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არ ხდება ახალგაზრდების საჭიროებათა გათვალისწინება და მათი განვითარების ხელშეწყობა. მხოლოდ ინიციატივები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სახელმწიფო სტრატეგია სრულფასოვნად შესრულდეს და უზრუნველყოფილ იქნეს ახალგაზრდების ეფექტური პოლიტიკური მონაწილეობა. ამის ნათელი მაგალითია ესტონეთი - პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელმაც სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით მოახერხა, ახალგაზრდებისთვის შეექმნა თვითგანვითარებისა და თვითრეალიზების შესაძლებლობა. თუ პარალელს გავავლებთ, ვნახავთ, რომ საქართველოს შემთხვევაში სწორედ ამ მიდგომაშია ნაკლოვანება: ჩვენმა ხელისუფლებამ შექმნა განვითარების გეგმა, თუმცა ბუნდოვანია მისი აღსრულების მექანიზმები. პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ფრთას თითქმის არ გააჩნია პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების რეკრუტირებისა და პოლიტიკური კარიერისთვის მომზადების ფუნქცია. შესაბამისად, ახალგაზრდებს არ აქვთ არაირი მოტივაცია, განეკუთვნონ პოლიტიკურ პარტიებში. მეტიც, მწვავე პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე მაქსიმალურად ერიდებიან პოლიტიკურ პარტიებთან აფილიაციას, რის გამოც მოკლებულნი არიან პოლიტიკურ გამოცდილებას, რათა თამამად გადადგან ნაბიჯები.

სამწუხაროდ, ახალგაზრდებისთვის პოლიტიკური ცოდნისა და გამოცდილების მიღებას, რომელიც მათ თვითორგანიზებაში დაეხმარება, ვერც უმაღლესი სასწავლებლები უზრუნველყოფს. ახალგაზრდებს, როგორც ცვლილებების განხორციელებისთვის მნიშვნელოვან რესურსს, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები განიხილავენ. მათი

კომპლექსური ხელშეწყობით ბოლო წლებში უამრავი მოტივირებული ახალგაზრდა სხვადასხვა ფორმით ჩაერთო პოლიტიკის ფორმირებაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების გააქტიურებას. შეიძლება ითქვას, რომ შეიქმნა ერთგვარი ახალგაზრდული ქსელი, ახალგაზრდები თვითონვე ცდილობენ, ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური ქსელები; აორგანიზებენ სხვადასხვა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აქტივობას, ხდება აზრების, ხედვების გაცვლა-გამოცვლა. 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებს თუ დავაკვირდებით, ახალგაზრდებმა მრავალი მიმართულებით აჩვენეს აქტიურობა, ახალგაზრდები ჩართულნი იყვნენ: საინფორმაციო კამპანიებში, სადამკვირვებლო მისიებში, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში, წინა წლებისგან განსხვავებით იმატა ახალგაზრდა კანდიდატების რიცხვმაც, რაც ძალიან დიდი სტიმულია ახალგაზრდებისთვის, მით უფრო, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები წარმოადგენენ იმ აქტორებს, რომელთაც საქართველოში ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაზე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

საქართველო, როგორც ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, ყოველთვის მიისწრაფოდა და მიისწრაფვის ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობისკენ. საქართველოს მოსახლეობის ურყევი ნება იყო და არის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ჩვენი სრული ინტეგრაცია. ამ გზაზე მუდმივი დაბრკოლება ჩვენი ისტორიული წარსულია, რომლისგანაც თავის დაღწევა მხოლოდ ახალგაზრდებს შეუძლიათ, შესაბამისად, ახალგაზრდების საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც დემოკრატიული რეფორმებისა და გარდაქმნების პროცესშია. საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსი ნამდვილად წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეროვნული იდეას და მისი შეუქცევადობა სწორედ განათლებული ახალგაზრდების პოლიტიკურ მონაწილეობაზეა დამოკიდებული. ქართველ ახალგაზრდებს აქვთ პოტენციალი, აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებში, თუმცა სჭირდებათ შესაძლებლობების გაზრდა და მხარდაჭერა, რისთვისაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის მიერ პოლიტიკური და სამოქალაქო ჩართულობის ზრდაზე ორიენტირებული კომპლექსური ნაბიჯების გადადგმა.

3 საქართველოს მთავრობის განკარგულება N553, 2 აპრილი, 2014 წელი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2314717?publication=0>



მარიამ ლურსაია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების
ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის II კურსის
სტუდენტი

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა ვითარებამ გვიჩვენა, თუ როგორ იცვლება ქვეყანაში ღირებულებები. ვხედავთ, რომ ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს და ამ გამოწვევებს, ფაქტია, უნდა გავუმკლავდეთ... თითქმის ყოველდღე ჩაგვესმის ყურში, განსაკუთრებით კი ამ ბოლო დროს, ისეთი სიტყვები და გამოთქმები, როგორებიცაა: დემოკრატია, უფლება, კანონი, სამართლიანობის აღდგენა, ხალხის მოთხოვნა, ტოლერანტობა, შეთანხმება, თანამშრომლობა და ა.შ. მიმაჩნია, რომ ხალხს, რომელმაც გადაწყვიტა ახალი წყობილებისა და საზოგადოების მშენებლობა, კარგად უნდა ესმოდეს ამ სიტყვების არსი და უნდა უფრთხილდებოდეს კიდევ მას, თუკი დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა დაუსახავს მიზნად. ვფიქრობ, სწორედ ეს გზა გვაქვს არჩეული. დემოკრატია ხომ მმართველობის ის ფორმაა, რომლის ხელისუფლების წყარო ხალხია. აქედან გამომდინარე, თუ სახელმწიფოში არ იარსებებენ დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანები, სახელმწიფო არ იქნება დემოკრატიული.

დემოკრატიული სახელმწიფო რა პრინციპებზეც არის აგებული, ამის გაგება თავად ამ სიტყვის ეტიმოლოგიიდანაც შეიძლება: როგორც ვიცით, დემოკრატია ბერძნული სიტყვაა: „დემოს“ ნიშნავს ხალხს, ხოლო „კრატოს“ – ძალაუფლებას, შესაბამისად, დემოკრატია სხირად განსაზღვრავს როგორც „ხალხის ბატონობას“, ე.ი. ეს არის სისტემა, სადაც ხალხი აწესებს წესებს და ემორჩილება მათ. ხალხის ნების უზენაესობა კი როგორ გამოიხატება, თუ არა ხელისუფლების არჩევითობით?!

ახლა რაღაცას გაგიმხელთ: რამდენიმე წლის წინ, როცა ისტორიის სახელმძღვანელოში ათენის დემოკრატიის შესახებ წავიკითხე, თითქოს შემშურდა, თან გამიკვირდა – ეს რა გამართული პოლიტიკური სისტემა, მოწესრიგებული, ჰარმონიული სიტუაცია ყოფილა ძვ. წ V-IV საუკუნეებში?! სახელმწიფო მმართველობა ეფუძნებოდა

შემდეგ პრინციპებს: არჩევითობას, თანამდებობების დაკავებას მოკლე ვადით, კოლეგიალობას, ანგარიშვალდებულებას, თანამდებობებზე ყოფნისას გასამრჯელოს მიღებას. წავიკითხე და მეც ძალიან, ძალიან მომინდა ასეთ სახელმწიფოში ცხოვრება და შექმნის პროცესში მონაწილეობის მიღება. შეიძლება იფიქროთ: კი მაგრამ, შენ ხომ ცხოვრობ ისედაც დემოკრატიულ სახელმწიფოში, რაღა გინდაო? მაგრამ მე აშკარად ვხედავ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად მაქსიმას არ ვიცავთ, ანუ გვეზარება, ხალხი თანამდებობის პირებს თავად ასახელებდეს და, ხშირ შემთხვევაში, ამას არ ვაკეთებთ.

ხელისუფლების არჩევითობა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის ქვაკუთხედი. ხალხის ნების უზენაესობის გამოხატულება კონსტიტუციის მე-5 მუხლი. იგი მიუთითებს, რომ საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, დემოკრატიის სხვა, უშუალო ფორმებისა და თავის წარმომადგენელთა მეშვეობით. ცხადია, ხალხში საქართველოს მოქალაქეები იგულისხმება და, საერთოდ, ვთქვათ, არჩევნები რაღაა? არჩევნები არის საარჩევნო უფლების მექონე პირთა მიერ ხმის მიცემისა და ამ პირთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბების საშუალება. ახლა კი მიჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება, ადამიანმა უარი თქვას, აირჩიოს ის ღირსეული ადამიანები, რომლებიც, თავის მხრივ, გამოხატავენ ხალხის ნებას სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტის პროცესში?

ერთ ფაქტს გვიამბობთ: საარჩევნო პერიოდში კომისიის წევრები არიგებენ ბარათებს, სადაც საარჩევნო სიაში ჩვენი ნომერია მითითებული. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჩემს ქუჩაზეც დაა-რიგეს, ვნახე, რომ ჩემმა მეზობელმა ახალგაზრდამ გამოართვა მათ ქაღალდები, მაგრამ თან უთხრა, რომ მაინც არ მივიდოდა არჩევნებზე, ის კი არა, პირადად დააზიანა თურმე, რადგან ყველა სთხოვდა იქ წასვლას. თავად კი ფიქრობს, რომ განა მისი ხმა რამეს შეცვლის, რა ძალა აქვს ერთ ხმას? მაინც ყველაფერი ისე იქნება, როგორც სხვებს უნდათ. აბა, ახლა წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი ფიქრობს ასე? დიახ, ნამდვილად სამწუხარო რეალობაა... სწორედ ჩემ

გარშემო არსებული მსგავსი აზრების გამო დამებადა განცდა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოდ კი ვინოდებით, თუმცა რეალურად სულ სხვა სურათი გვაქვს. მაშინ, როცა დემოკრატიულ სახელმწიფოში სუვერენული ხელისუფლების მქონე ხალხი თვითონ უნდა აკეთებდეს ყველაფერს, რისი გაკეთებაც მას კარგად შეუძლია, ხოლო იმას, რისი გაკეთებაც მის შესაძლებლობას აღემატება, თავისი ნდობით აღჭურვილი პირების მეშვეობით უნდა ახორციელებდეს, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთან დიდი ნიჰილიზმი სუფევს. არ ვცდილობთ მოქმედებას, რაიმეს კეთებას, ვიღაცას ველოდებით, გვინდა, პრობლემები სხვამ მოგვიგვაროს, ჩვენ მაგივრად იფიქროს და გადანყვებილებიც მიიღოს. ეს მდგომარეობა იმდენად გავითავისეთ, უკვე პრობლემადაც არ აღვიქვამთ, „ადამიანები ხომ არასოდეს განიცდიან სინდისის ქენჯნას ჩვეულებად ქცეული საქციელის გამო“. შესაბამისად, ვერ ვვითარდებით. ხომ ამბობენ, მდგომარე მდგომარეობა არ არსებობსო. ზუსტადაც ასეა – ადამიანი ან წინ მიდის, ან უკან. ასე ვართ ჩვენც და, შესაბამისად, ქვეყანაც, ვინაიდან სამშობლო მოსიარულე ადამიანია. არადა, რა მშვენიერი იქნება, ვაზროვნებდეთ გლობალურად და ვმოქმედებდეთ ლოკალურად.

„ჩვენ ავირჩიეთ ერთხელ ბარაბა და მას შემდეგ ვაწყდებით ნალმებს“ – რეალური ნათქვამია ხომ? ჩვენ, ზუსტადაც რომ ჩვენ, მივიღეთ ეს გადანყვებილება, იქ რომ თუნდაც ერთით მეტი კაცი მდგარიყო, ისეთი, ვინც ხელს აწევდა იესოს გადასარჩენად, ხომ სულ სხვა სურათი გვექნებოდა? – ასეა ეს, ერთ ხმასაც კი ძალიან დიდი ძალა აქვს, მას ყველაფრის შეცვლა შეუძლია. ახალგაზრდების როლი, რა თქმა უნდა, დიდია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში, საერთოდაც ჩვენ ამ გადანყვებილებითა და ქმედებით ერთ აგურს ვდებთ ჩვენი დიდი სახლის მშენებლობაში, ეს კი ყველა სიკეთესთან ერთად დიდი ბედნიერებაა. თან წარმოიდგინეთ, ამ ქმედებით ჩვენ, პრაქტიკულად, მონარქები ვართ, იმდენად, რამდენადაც გვაქვს საარჩევნო ხმები, რითაც გამოვხატავთ ჩვენს ნებას. გულწრფელად გეტყვით, ახალგაზრდების ჩართულობა საჭირო მგონია არა მარტო კაბინასთან, ხმის მიცემის პროცესში, არამედ თავად კომისიაშიც. ვინაიდან ჩვენ არ ვართ მიკერძოებულები, არ გვაქვს ისეთი გამოცდილება, როგორიცაა, ვთქვათ, გაყალბება, ამიტომ, ვგონებ, ახალგაზრდები მეტად სამართლიან და გამჭვირვალე არჩევნებს ჩაატარებენ. წელს მე პირველად შევნიშნე საარჩევნო რეკლამაში ახალგაზრდები, რომლებსაც ძალიან აინტერესებდათ ყოველივე ზემოხსენებული. ნამდვილად საინტერესო და სასიამოვნო იყო მსგავსი რეკლამის ნახვა. ეს ბევრ ახალგაზრდას წაახალისებს...

ახალგაზრდების როლის გაზრდა საარჩევნო პროცესებში, ფაქტია, უკეთესობისაკენ შეცვლის

ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის მაჩვენებელს, მთავარია, ჩვენ გავიაზროთ საკუთარი ხმის ძალა და მნიშვნელობა, ამისათვის, ალბათ, აუცილებელია ცნობიერების ამაღლება. აი, მაგალითად, დემოკრატიული სკოლის მართვის მოდელი თავისუფლად შეიძლება მოვარგოთ ქვეყნისასაც. ჯერი მინთზი ამბობს, რომ სკოლისთვის საუკეთესო იქნება, თუ მეტი არჩევანის უფლებას მიანიჭებენ ბავშვებს, რათა მიმდინარე პროცესში ჩართვით მეტი თავისუფლება და თავდაჯერებულობა მოიპოვონ. ნამდვილი დემოკრატიული გადანყვებილება ხომ ყველა შესაძლო ვერსიის განხილვა-გაანალიზებისა და პროცესში ჩართული თითოეული მონაწილის აზრის გათვალისწინებაა, სწორედ ამიტომ 1968 წელს მან თანამოაზრეებთან ერთად დააარსა Shaker Mountain School (შაკერ მაუნთინ სკული). აქ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში, ძირითადად, ახალგაზრდები, მოსწავლეები შედიოდნენ, ვინაიდან მოსწავლეები ყველაზე სანდო მრჩეველები იქნებოდნენ, და, მართლაც, მათი დახმარებით სკოლაში მრავალი საკვანძო საკითხი იქნა გადაჭრილი. ისინი განიხილავდნენ, მაგალითად, ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სასკოლო შენობების ყიდვა-გაყიდვა, ძირითადი ფინანსური ღონისძიებები და მთელი სასკოლო პოლიტიკა. წინა წლებში კი ამ ყველაფრის გადანყვება იმ კონსერვატორულ, მოძველებულ საბჭოს ევალებოდა, რომელიც გადანყვებილებას იღებდა „ოთხშაბათს, შუადღის პირველ საათზე“. მათგან განსხვავებით, მოსწავლეების შეხვედრები გრძელდებოდა საათობით. ისინი იყვნენ გულწრფელები, თან საოცარი პასუხისმგებლობის გრძნობით. ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვი: ახალგაზრდები სკოლაში საოცრად დემოკრატიულ არჩევნებს ატარებდნენ სხვადასხვა გადანყვებილების მისაღებად. აღსანიშნავია, რომ ამ დროს საბჭოს ყველა წევრი იყო ადგილზე, რათა საკუთარი აზრი დაეფიქსირებინა, ანუ ახალგაზრდებმა გაიაზრეს საკუთარი თავის და ხმის ძალა. სწორედ ამ კონდიციამდე უნდა მივიდეთ ჩვენც, ახალგაზრდები, და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი გადანყვებილების მიღება არ დავიზაროთ.

ასე და ამგვარად, სოციალური პასუხისმგებლობის გადანაწილება უმთავრესია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის! დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ საზოგადოებას ქმნის თითოეული ადამიანი, ადამიანი, რომელიც არის გონებამახვილი, პროდუქტიული, ჰუმანური, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე და შესწევს უნარი, დაიცვას საკუთარი აზრი, ღირსება და შეუძლია არჩევანის გაკეთება. ახალგაზრდები (და არა მარტო) მკვდარი თევზებივით არ უნდა მივყვებოდეთ დინებას, ვინაიდან, თვინიერ პიროვნების ხსენისა, არ არსებობს ქვეყნის ხსნა.



უ ს კ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
საარჩევნო ადმინისტრაცია